



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგბინდ ბუქდ-
უბი სიფყვას, ცუდიღობით და ჭბბბბბბბბბბბ
თის გაცანა ყულა უჯბბბბბბბბბ უსბბბბბბბბ.



ბაბბბბ 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპრეზენტატივა

ხუთშაბათი, 2 მაისი. 2019 წ. №86 (8752)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge


ფასი 60 თათრი

ეს ყველაზე უნდა წაიკითხოს!

ბუკიკიო - კიო, მაგრაბ...



4




ბურაბ ქაშაკაშვილი - ქართული ფოლადის დიდი ქართველი ფოლადური ნათლიისგან მაღლსხეული

6

სისოსხლე სიკვდილის შედეგ

აივან გასანოვი - 90

5



უდიდესი ჩინური კომპანია ანაკლიაში „შეპოლის“

გუშინ, 1 მაისს, 12:00 საათზე, ანაკლიის განვითარების კონსორციუმსა და ZPMC-ს შორის ამწეების თაობაზე ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ახვლედიანმა და კომპანია ZPMC-ის ვიცე-პრეზიდენტმა ლიუ ქიზონგმა.

უდიდესი ჩინური კომპანია ZPMC ანაკლიის პორტს ამ ტიპის ამწეებით მოამარაგებს. ZPMC ტიპის ამწეები პორტის ტერიტორიაზე კონტეინერების გადასაადგილებლად და დასასაწყობებლად გამოიყენება და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ამ ეტაპზე ZPMC-გან 12 ერთეულ ამწეს შეისყიდის. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ZPMC გამარჯვებულ კომპანიად საერთაშორისო ტენდერის შედეგად გამოავლინა. ტენდერი რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მას, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ერთად, კონსორციუმის პარტნიორი კომპანიები – სა-

კონტეინერო ტერმინალის ოპერატორი SSA Marine და დეტალური პროექტის ავტორი BergerABAM უძღვებოდნენ. ტენდერში დიდი საერთაშორისო, მათ შორის, ევროპული კომპანიები მონაწილეობდნენ, ხოლო საფინანსო ეტაპზე სამი წამყვანი კომპანია გავიდა.

ZPMC მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც რთული პირობებისთვის განკუთვნილ მძიმე ტექნიკას აწარმოებს, მათ შორისაა დიდი მოცულობის საკონტეინერო და ნაყარი ტვირთის გადამზიდავი ტექნიკა, საზღვაო და სხვა ტიპის მძიმე ტექნიკა. კომპანია ასევე მონაწილეა მსოფლიოში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საზღვაო ტექნიკის მაღალი სტანდარტებით წარმოებაში.

კომპანიის მფლობელობაშია 60,000-დან 100,000 ტონის სიმძლავრის 26 გემი, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადაადგილებიან. ZPMC-ის ცენტრალური ოფისი შანხაიში მდებარეობს და კომპანია შანხაის საფონდო ბირჟაზე კვოტირებს.

გველახთან -
საკუთარი
ფასით 3



შავგულიძის შავი გულის ქარნახით

ერთად ვიზიუმით ფაშიზზე გამარჯვება!

მიმართვა



საპარტიველოს ყველა მოქალაქეს, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ჩვენს სახელოვან ომისა და შრომის ვეტერანებს, ახალგაზრდობას, რომლებიც აქტიურად მესმარებიან ფეისბუქზე, ბეჭდვურ თუ ელექტრონულ მედიაში, მივმართავ კომუნისტური პარტიის ნამდვილ წევრებს და იმათ, ვინც ნანობს პარტიული ბილეთისა და მისი აქტიური ცხოვრების ნაწილის სანაგვეზე გადაგდებას; მივმართავ ჩემს ძვირფას სტალინელებს: 2019 წლის 6 მაისს, 15:00 საათზე, რუსთაველის აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში გინვეთ შეხვედრაზე, სადაც ბევრ ახალ ამბავს და ბევრ უცნობ დოკუმენტურ კინოკადრს ნახავთ სტალინზე, მის ძველ თუ ახალ ცხოვრებაზე.

მოვუწოდებ მედიას (ოპოზიციურს თუ პოზიციურს), მობრძანდეს თეატრში და თვალყური მიადევნოს იმ კონტრასტებს, რომელთა არათუ კონტრუგებს იხილავს, ფაქტის წინაშეც კი დადგება საზოგადოება.

საუბარი იქნება იმაზედაც, თუ „ვეტრე პირველის ევროპისკენ გაღებული ფანჯარა როგორ მიხურა თავის დროზე გენიოსმა მწერალმა დოსტოევსკიმ“.

მოდით, ერთად ვიზიუმით ფაშიზზე გამარჯვება და ერთად დავგმოდოთ მისი ალორძინება!

გრიგოლ ონიანი



ჩვენი მეგობრების მხარდაჭერის წყალობით, ჩვენი ქვეყანა იქცა რეგიონის ლიდერად და მონიხვედ დემოკრატიული ტრანსფორმაციისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გაეროს საქართველოს მთავრობის ერთობლივი მმართველი კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა გაეროსა და მის 16 სა-

აგენტოსთან სხვადასხვა სფეროში ეფექტიან თანამშრომლობას და განაცხადა, რომ ორგანიზაციის მხარდაჭერამ და ჩართულობამ საქართველოს წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

წარმოაბზე, წვდომა ზეხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვაზე, ასევე უსაფრთხოების განმტკიცებაზე, გარემოს დაცვაზე, ბუნებრივი რესურსების მდგრად მენეჯმენტზე და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებაზე.



ლობა გადაუხადა გაეროს წარმომადგენლობას საქართველოს უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისკენ მიმართული ძალის-

ხმევისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთავრობა ორგანიზაციის საქმიანობას მომავალშიც შეუწყობს ხელს.

მამუკა ბახტაძე იმპერატორ ნარუჰიტოს ტახტზე ასვლას ულოცავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე იაპონიის იმპერატორ ნარუჰიტოს ქრიზანთემის ტახტზე ასვლას ულოცავს. განაცხადებს პრემიერ-მინისტრი მიკრობლოგ „ტვიტერზე“ ავრცელებს.



„გულწრფელად ვულოცავ იაპონელ ხალხს საიმპერატორო ტახტზე ნარუჰიტოს ასვლას. იაპონიისა და საქართველოს ხანგრძლივი ურთიერთობები და მეგობრობა აკავშირებს. ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ჩვენი ურთიერთობები და მჭიდრო თანამშრომლობა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ერთმანეთს“, - წერს მამუკა ბახტაძე.



ეროვნული უსაფრთხოების საბჭო იქნება ძირითადი გაკოორდინებული ორგანო...

პირველი სხდომის შემდეგ განცხადება გააკეთა. გიორგი გახარიამ, როგორც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ საბჭოს მუდმივმოქმედ წევრებს შორის დღეს პირველი, ტექნიკური შეხვედრა გაიმართა, სადაც მან პრემიერის სათათბირო ორგანოს წევრებს საბჭოს სტრუქტურა გააცნო.

30ცე-პრეზიდენტმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შემადგენლობის მიუხედავად, კვლავ არსებობს მტკიცეული გამოწვევები, როგორც არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ჰუმანიტარული კატასტროფა.

როდ, საბატიო მიზნების გამო ვერ გვესწრებოდა საბჭოს 2 მუდმივი წევრი. მივიღეთ დავალებები პრემიერისგან - ეს ერთი, მეორე - მე გაავაცანი საბჭოს წევრებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრუქტურა და თუ როგორ წარმოიადგენია უახლოს პერიოდში საბჭოს ამოქმედება. მოგვხსენებთ, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო იქნება ძირითადი მაკოორდინებული ორგანო ყველა იმ უწყების, რომელიც ჩართული არის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და, რა თქმა უნდა, ეს იქნება სათათბირო ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პრემიერის სრული ინფორმირება ქვეყნის უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებით. ეს იყო ჩვენი შეხვედრის მიზნები და მიზანი“.

ახალი ავტობუსები, მოულოდნელი რეიზები და სასიხოსო მნიშვნელობის ტყე-პარკი...

ქრანისის ტყე-პარკის განვითარება ჩვენი ქალაქისთვის სასიხოსო მნიშვნელოვანია

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, ქრანისის ტყე-პარკის განვითარება ქალაქისთვის სასიხოსო მნიშვნელოვანია. როგორც დედაქალაქის მერმა მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, დღეს პრემიერ-მინისტრმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, საზოგადოებას ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტი გააცნო, რომელიც ქრანისის ტყე-პარკის მოწყობას ითვალისწინებს.

„ქრანისის ტყე-პარკის განვითარება ჩვენი ქალაქისთვის სასიხოსო მნიშვნელოვანია. მწვანე სივრცეების ნაკლებობა გვაქვს, ასევე, გვაქვს ეკოლოგიური პრობლემები და, რა თქმა უნდა, ასეთი ტერიტორიების ათვისება-გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, დღეს წარმოადგინეს გეგმა, თუ რა გაკეთდება ამ ტერიტორიაზე და როგორ განვითარდება ქრანისის ტყე-პარკი. მას აქვს ძალიან დიდი შესაძლებლობა, უზარმაზარი რესურსი. თბილისთან ახლოს არსებული ეს ტერიტორია უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ისეთი სივრცე მოვაწყოთ, სადაც ადამიანს სურვილი გაუჩნდება და შესაძლებლობა ექნება, ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მივიდეს, გაერთოს და მწვანე სივრცეში დაისვენოს“, - განაცხადა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, საზოგადოებას ბიომრავალფეროვნების აღდგენის პროგრამა წარუდგინეს, რომლის ფარგლებშიც, „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“ იმუშავებს. სააგენტოს მთავარი ფუნქცია ბუნ-



ნებაში ადგილობრივი ფლორისა და ფუნის მონიტორინგი იქნება. ქრანისის ტყე-პარკში განთავსდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორი სააგენტო: „გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი“ და „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ტყის მოწყობისა და მოვლის სამუშაოები განხორციელდება და პარალელურად, „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შესული ხე-მცენარეები დაირგვება, რომლებიც ეროვნულ საშენ მეურნეობაში გამოყვანილი. ასევე, შეიქმნება უნიკალური ტყე-პარკი, სადაც წარმოდგენილი იქნება შავიზღვისპირეთიდან შირაქის ნახევარუნდაბნობამდე არსებული ხე-მცენარეები. აქვე მოეწყობა საქართველოს გარეულ ფრინველთა საშენი და მტკვრის აუზის ისტორიულ-მემორიალური მუზეუმი.

სამხანაო ობიექტზე მოულოდნელი რეიზები ჩატარდება...

დედაქალაქის მერია სამხანაო უსაფრთხოების მიმართულებით არსე-

ბული ნორმების შემოწმებას იწყებს, - ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ნორმების გამკაცრება სამხანაო ობიექტებზე დასაქმებული მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მნიშვნელოვანია.

„ძალიან მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო გავამკაცროთ ჩვენი მიდგომები და დამოკიდებულება სამხანაო ობიექტებზე, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება. ამ მიმართულებით გასულ წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განვახორციელეთ - გავამკაცრეთ რეგულაციები, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ აუცილებელია, კიდევ უფრო მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ. აუცილებელია, ენ. რეიდების ჩატარება, რომ ყველასთვის მოულოდნელი იყოს იქ მისვლა და გადამოწმება, რათა ყველამ გაითავისოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის სიცოცხლე. ეს უნდა გაითავისოს,

როგორც დამსაქმებელმა და დამკვეთმა, ასევე იმ ადამიანებმა, რომლებიც სამხანაო ობიექტებზე არიან დასაქმებული“, - განაცხადა დედაქალაქის მერმა. კახა კალაძემ მერის მოადგილეს და ავალა, ენ. რეიდების ჩატარება მთელი ქალაქის მასშტაბით მეტი სისწილით განახორციელონ.

თბილისში წლის ბოლოსთვის 220 ახალი, რეკამბრირანი ავტობუსი იმოქმედებს

დედაქალაქში დამატებით 200 ერთეული 8-მეტრიანი ავტობუსის შემოყვანაზე ხელშეკრულება გაფორმდა. როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტობუსები თბილისში წლის ბოლოსთვის შემოვა. „ტენდერი, რომელიც ნოემბერში იყო გამოცხადებული, დასრულდა და ხელშეკრულება გაფორმდა 220 ახალ ავტობუსზე. წლის ბოლოსთვის თბილისში 8-მეტრიანი ავტობუსები შემოვა და არსებული ენ. ყვითელი ავტობუსები ჩანაცვლდება, რომლებსაც ყველანაირი რესურსი ამონურული აქვს“.



კოალიციური მთავრობა... ვისთან ერთად?

„ქართული ოცნება“ პოლიტიკურ მოკავშირეს ეძებს

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე იქნება დამოკიდებული, როგორი სახით მოხდება მთავრობის ფორმირება. მმართველ გუნდში აქტიურად მიმდინარეობს განხილვა კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე, თუმცა ვისთან ერთად – ეს არის მთავარი საკითხი, რაზეც მმართველი გუნდი ვერ ყალიბდება. კოალიციური მთავრობის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური სპექტრი იყოს ჯანსაღი, რაც წინააღმდეგობაში მოდის მმართველი გუნდის პოლიტიკასთან. ამის ნათელი მაგალითია „დაიცავი საქართველოს“ შემთხვევა, როდესაც ყრილობის პარალელურად დაიწყო აგრესიული საინფორმაციო ომი დავით მალარაძის წინააღმდეგ. შესაბამისად, ანალიტიკოსების შეფასებით, „ქართული ოცნების“ მმართველობის სტილი არ იძლევა კოალიციური მთავრობის ფორმირების შესაძლებლობას.

ის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე ფიქრობს, ამას For.ge-სთან საუბრისას ადასტურებს ანალიტიკოსი გია აბაშიძე, რომლის განცხადებით, კოალიციური მთავრობის იდეა საკმაოდ მომწიფდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და ამას თავად მმართველი გუნდის მაღალჩინოსნებიც აცხადებენ. კითხვაზე, რომელ პოლიტიკურ ძალასთან შეიძლება შედგეს კოალიციური მთავრობა, აბაშიძე ამბობს: „დიდი ალბათობით, კოალიციური მთავრობა შედგება კონსერვატიული ოპოზიციისგან. ჩვენ არ ვიცით 2020 წელს როგორი იქნება პოლიტიკურ ძალთა ბალანსი. უამრავი ცვლილება მოხდება, უამრავი ადამიანი შემოვა, უამრავი ადამიანი გაცოცხლდება პოლიტიკაში. ვინ, როგორ და სად დადგება, ამას ჯერ ვერ ვიტყვით. სამწუხაროდ, ძალიან ნაადრევია პროგნოზის გაკეთება“, – აცხადებს გია აბაშიძე.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ველი ძალიან ღარიბია, ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ უნდა ფიქრობდეს კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე, თუმცა, მისი თქმით, მთავრია ვისთან ერთად შექმნის.

„ნაციონალურებთან“ ვერ შეძლებს, ევროპულ საქართველოსთან“ ან „პატრიოტთა ალიანსთან“ ერთად? ახალი პოლიტიკური ძალის შემოსვლას საფუძველზე ვხვდებით. ვნახეთ, რაც გაუქვითეს დათო მალარაძეს. შეიძლება, არ მოგწონდეს „დაიცავი საქართველო“, მაგრამ მასირებული საინფორმაციო შტურმი ყრილობის შეკრებიდან მეორე დღეს, რაც ვნახეთ, ამ ტიპის მოქმედებით „ქართული ოცნება“ საფუძველშივე თელავს ყველა მომავალ პოლიტიკურ გუნდს და იმაზე არ ფიქრობს, ვინ შეიძლება სამომავლოდ იყოს მათი პარტნიორი, იგივე სამთავრობო კოალიციაში. ფიქრობენ, რომ ყველა ჩაჩხონ. მე ვფიქრობ, რომ მათ უნდა იფიქრონ მომავალ პოლიტიკურ პარტნიორზე“, – აღნიშნა ხათუნა ლაგაზიძე.

პოლიტიკოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ძალიან მძიმედ არის საქმე, რადგან იდეის ავტორებს არ ესმით, რას ნიშნავს კოალიციური მთავრობის არსი. როგორც პო-

ლიტოლოგი ამბობს, ბუნდოვანია, რას გულისხმობენ კოალიციის ქვეშ, იმიტომ, რომ კოალიციის შექმნამდე, უნდა შედგეს მრავალპარტიული არჩევნები და დაახლოებით თანაბარი ძალის რამდენიმე პარტია უნდა არსებობდეს.

„რა კოალიციაზე ლაპარაკი, როდესაც თანაბარი ზომის პარტია არ არის. მორიგი კვლევების ფორმა მიიღო ამ კოალიციის ძახილმა. ან ვისთან ერთად კოალიცია, როცა პოლიტიკური ველი დატლილია? ამიტომ იდენტობაა ეს კოალიცია. თუკი არ იქნება თანაბარი წონის პარტიები, რის საფუძველზე უნდა შედგეს კო-



ლიციური მთავრობა? თუკი უერთმანეთოდ გადნევილებს მიღების უნარი ექნებათ, გაუგებარია რატომ უნდა შეკრან კოალიცია, მაგაზე არ დაფიქრებულან.

კოალიციის შეკვრას თავისი ლოგიკა აქვს. ახლა რატომღაც აიჩემა საქართველოს ხელისუფლებამ, რომ კოალიციური მთავრობა არის დემოკრატიის ნიშანი. კოალიცია არ შექმნილა იმიტომ, რომ დემოკრატია უნდათ. უბრალოდ, არც ერთ მათგანს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადნევილებების მიღება, ამიტომ უჭერენ მხარს კოალიციას. ჩვენს შემთხვევაში ერთპარტიული ქვეყანა გვაქვს და ასეთ შემთხვევაში როგორ წარმოუდგენიათ კოალიციური მთავრობა? თუკი არ იქნება ძლიერი მეტოქე, მაშინ გაუგებარი იქნება ამდაგვარი პოლიტიკა. იპოვეს კვლევების ახალი ფორმა და სხვა არაფერი“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძე.

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე თვლის, რომ კოალიციური მთავრობა

თვითმზანი არ შეიძლება იყოს, რადგან კოალიციური მთავრობის ფორმირება გამონკვეული არის არჩევნების შედეგებით, როდესაც არც ერთი პოლიტიკურ ძალას არა აქვს საკმარისი მანდატი იმისათვის, რომ მთავრობა დააკომპლექტოს და ამიტომ მიდიან იძულებით კოალიციურ მთავრობაზე.

„ქართულ ოცნებას“ ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში, ამიტომ ხელოვნური მექანიზმების გამოყენებით მთავრობაზე უნდა იფიქროს. თუ ვინმე ფიქრობს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებაზე, იმაზე, როგორ გამოიყვანოს ქვეყანა ამ მდგომარეობიდან, კოალიციური მთავრობაზე კი არ უნდა იფიქროს, უნდა იფიქროს მთავრობის ფორმირებაზე, რომელიც იქნება ძალიან აქტიური და მისაღები საზოგადოების უდიდესი უმრავლესობისთვის. ამ ვითარების გამოსწორებას მარტო მთავრობის ფორმირება არ შეუძლია, საჭირო არის პრაგმატული გეგმა იმისთვის, რომ მოსახლეობამ დაინახოს ქვეყანაში რაღაც რეალური ცვლილებები ხდება. თუ ამას ვერ დაინახავს საზოგადოება, გენბავთ, კოალიციური მთავრობა შეიქმნას, გენბავთ, არა, ეს პროცესი მაინც მიუძღვის ძალიან ცუდად „ქართული ოცნებისთვის“ და, პირველ რიგში, ქვეყნისთვის. რაც მთავრია, კოალიციური მთავრობა უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი, რომელსაც ყველაზე მაღალი პოლიტიკური რეიტინგი აქვს“, – ამბობს ვახტანგ ძაბირაძე.

კოალიციური მთავრობის იდეა გაუგებარია გია ხუხაშვილისთვის. როგორც ექსპერტი ამბობს, პოსტსაარჩევნო კოალიციები ხელისუფლებას აკომპლექტებენ რაღაც საერთო იდეის და მიზნების გარშემო, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ „ქართული ოცნება“ ძალიან გაუგებარი წარმონაქმნია, გაუგებარია, ვისთან შეიძლება შეიქმნას კოალიციური მთავრობა.

„ძალიან ეკლექტურია, „ქართული ოცნების“ ელიტის გარკვეული ნაწილი გადახრილია უფრო რადიკალური ფასეულობისკენ, მეორე ნაწილი კონსერვატიული წარმოდგენების არის, ასე რომ, აბსოლუტურად გაუგებარია, ვისთან აპირებენ კოალიციური მთავრობის შექმნას. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ორი ფრთა გვყავს, ვისაც პულისი ეხივება – „ნაციონალური მოძრაობის“ ორი მხარე, თავად „ნაციონალური“ და „ევროპული საქართველო“, მეორე მხარეს გვაქვს „პატრიოტთა ალიანსი“ – აღნიშნა გია ხუხაშვილმა. თანამ პარტია

შავგულიძის შავი გულის კარნახით

გველგებთან – საკუთარი ფხვნი

ჩამაიონთა ლიგაში „ტოტენჰემისა“ და „აიაქსის“ საფეხურთო სპექტაკლი რომ ახლოვდებოდა, ოჯახის თხოვნით, პულტი მოვიმარჯვე და გენერალური რეპეტიციის გასაველად მცირე ხნით „ტელეიმედზე“ გამართულ პოლემიკას შევავლე თვალი. ძალიანაც მივქარე – კიდევ ერთხელ დაგვრწმუნდი, თუ რა ადვილი ყოფილა ქამელეონობა და საველს პავლედ გადაქცევა.

საუბარია სანდრო გირგვლიანისა და სულხან მოლაშვილის გახმაურებულ საქმეთა ადვოკატ შალვა შავგულიძეზე, რომელიც, როგორც კვალიფიციური იურისტი, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს ადამიანის უფლებადამცველთა სამყაროში, მაგრამ თურმე თავისი საქმის პროფესიონალის ნილაბქვეშ პირნავარდნილი ფაშისტი იმალედა.



დაიხ, რაც არ უნდა შეაფერადოს მთანმინდის მაჟორიტარობის კანდიდატმა საკუთარი პოლიტიკური არჩევნის საბაბი – აქაოდა ჩემი შეხედულებები სრულ თანხვედრაშია ბოკერის პარტიის ევროპულ მრწამსთან, ჩვენში ბავშვმაც კი იცის, რომ ყოფილი ნაცი ბუნებაში არ არსებობს და ნათლობის ახალი სახელის მიუხედავად ნაცობა მარადიული დამლაა.

სხვისი არ ვიცი და მე კი სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნიგნიერი „უნივერსალი“ ისტორიაშიც საკმაოდ განსწავლული ბრძანდება და კარგად უნდა ახსოვდეს უახლოესი წარსულის ერთობ საგულისხმო ეპიზოდი, როცა გერმანელმა ფაშისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა თვით მარცხა როცასაც კი არ აზატიეს.

თუმცა, რაღა შორს მივდივართ – განა, ქართული ზეპირსიტყვიერების საგანძურს არ ამშვენებენ „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენი“ ან „ერთმა ტალახინამა ღორმა ასი ღორი გასვარაო“?

სხვათა შორის, ოდიოზურ მოსამართლე ლევან მურუსიძესთან არცთუ კორექტული დიალოგისას გაპოლიტიკოსებული იურისტი „მანია გრანდიოზაშიც“ გაიშიფრა, როცა სტრასბურგის ევროსასამართლოში მოპოვებული გამარჯვება ლამის მხოლოდ თვითონ მიითვალა და კოლეგის – დავით ჯანდიერის ღვანლს მხოლოდ მას შემდეგ გაუსვა ხაზი, რაც ამის თაობაზე ოპონენტმა შეახსენა: „დაიხ, ბატონ დავითს ერთწლიანი სტაჟირება მარტოლაც აქვს გავლილი სტრასბურგში და ფრანგულ ენასაც ეთობს, რაც საქმის წარდგენისთვის გამოყოფილი შეზღუდული დროის – 30 წუთის დაზოგვაში დაგვეხმარაო“ – მოვალეობის მოხდის მიზნით დასძინა ადვოკატობასთან ნებაყოფლობით გაყრილმა ბატონმა შალვამ და პარტნიორის როლი თარჯიმნობამდე დაიყვანა. გეკითხებით, არის თუ არა ეს განდიდების მანია თუ არა, მისი ნიშნები მაინც?

ცოტაც კიდევ მოვითმინოთ, და, ალბათ, გავეროპელებული შავგულიძის შავი პიარი (მისი საყვარელი სიტყვებია) მის შავ ჯიგარს კიდევ უფრო შავ ფერებში წარმოგვიჩვენს.

გია პლატონიშვილი

ვლადიმერ ჩაჩიბაიას პერ გაუგეს!

შეიარაღებული ძალების მეთაურმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ სკანდალური განცხადების გაკეთების შემდეგ, საზოგადოებისა და ოპოზიციის პროტესტს ვიდუომიბრთვით უპასუხა. გენერალმა განმარტა, თუ რატომ თქვა, რომ საქართველომ სამი სამოქალაქო ომი გადაიტანა.

მისი თქმით, ყველა ამ კონფლიქტში რუსეთი იყო საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგე. ჩაჩიბაია ყველას მოუწოდებს, რომ ნუ შეეცდებიან, ჩემი გამოსვლის ტექსტში ერთი ამოგლეჯილი ფრაზით მანიპულაციას, – განაცხადა ჩაჩიბაიამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს ვლადიმერ ჩაჩიბაიამ განაცხადა, რომ საქართველომ ბოლო 28 წელიწადში 4 ომი გამოიარა, აქედან 3 სამოქალაქო და 1 რუსეთისგან ფართომასშტაბური აგრესია.

ლაგვართ მონაწილე ჩემს თანამებრძოლებთან ერთად. ჩვენ ვიცავდით ჩვენი ქვეყნის ერთიანობას და დამოუკიდებლობას. ყველა ამ კონფლიქტში რუსეთი იყო საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგე. ეს არის ჩემი და ყველა პატრიოტის და ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ქართველის პოზიცია, ამიტომ ყველას ვთხოვ, ნუ შეეცდებიან, ჩემი გამოსვლის ტექსტში ერთი ამოგლეჯილი ფრაზით მანიპულაციას, – განაცხადა ჩაჩიბაიამ.

მკ, ბუკიკიო, ბუკიკიო... რა ხარ, ვინც არ ბიც-ნოზს?!

ჰოდა, მოდი, ვცადოთ და უფრო ახლოს გავიცნოთ ეს ჩვენი, პირდაპირ ვიტყვი, არეულად მოთამაშე და „ჩორტების“ ჩამგდები ბუკიკიო.

ბოლო რეკომენდაციებით დავეწყობ...

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ უმრავლესობის მიერ ინიცირებულ მოსამართლეების კანონთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებულ იმ რეკომენდაციებს გავითვალისწინებთ, რომელიც კონსტიტუციასთან იქნება შესაბამისობაში. უცოდინარებისთვის („იურისტი“ და „პოლიტიკოსი“ ანა დოლიძე და მისი „თანამოაზრეები“ მყავს მხედველობაში, უნდა ურჩიან „რომ დაიხარჯნენ“ აგხსნი, რომ ბატონი ირაკლი, გარდა იმისა, რომ ამ საერთაშორისო კომისიისგან მოითხოვდა, დაედასტურებინა ან უარეყო კანონში წარმოდგენილი დებულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, წარსულის გამოცდილებებიდან გამომდინარე, წინასწარ აზღვევდა პროცესის იმ განვითარებას, რომ ბატონ ბუკიკიოს შესაძლოა, „ერჩია“ კონსტიტუციაში რაიმე სახის ცვლილებების შეტანა. ხაზს ვუსვამ – არა მოეთხოვა, არამედ, „უბრალოდ“, სურვილი გამოეთქვა, მაგალითად... ოპონენტებისთვის „სატოპკეს“ აწვევის მიზნით.

ამ მცირე გადახვევას გავაკეთებ და ანა დოლიძის პოლიტიკურ პორტრეტს „მივუძღვნი“ რამდენიმე სტრიქონს. აშკარაა, რომ ადამიანი ყველა ჩარჩოდან არის გამოსული და უკვე დიდი ხანია, გაძლიერებული აქვს ყველა ის ნორმა და ზღვარი, რასაც საჯარო ურთიერთობის ეთიკა და (ზოგიერთ შემთხვევაში) ზრდილობა მოითხოვს. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი ისაა, რომ ამ ახალგაზრდა ქალბატონის ცოდნა (როგორც სამართლის, ისე პოლიტიკის) არანაირად არ არის შესაბამისობაში მის ამბიციასთან; მეორე კი ის გახლავთ, რომ მის ირგვლივ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც „მეგავსე შექახილით“ გამოაფინებლბდა და ზემოხსენებული წესების დაცვისკენ მიუთითებდა.

ჩემი სიმართლის და სამართლიანობის მოყვარული ხასიათიდან გამომდინარე, შევეცადე ეს „მისია“ მე ვიტვირთო – ქალბატონო ანა, ირაკლი კობახიძემ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტებით და არგუმენტებით დაგისაბუთათ, რომ არც კონსტიტუციის და არც ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში არ გქონდათ იმის საკმარისი კომპეტენცია, რომ პარლამენტში დაგეცვათ პრეზიდენტის პოზიცია. რაიმეს არცოდნა, თავისთავად, პრობლემა არ არის. პრობლემა ისაა, რომ გაბედვით, სრულიად მოუზმადებელი დამდგარიყავით ქვეყნის ყველაზე მაღალ ტრიბუნაზე.

თქვენი კიდევ ერთი პრობლემა ისაა,



ანა დოლიძე

რომ იმდენად მწირი იყო თქვენი ცოდნა, რომ ვერც კი წარმოგედგინათ, რა სიმაღლის შეიძლება იყოს ყოფილიყო კომპეტენციის ხარისხი როგორც ერთ, ისე მეორე საკითხში. შემდეგ, როდესაც მიხვდით, რომ „იქ არ მოხვდით“, აი, იმ ამბიციამ აგჭრათ, რომელიც, ვიმეორებ, სრულიად არ არის შესაბამისობაში თქვენ ცოდნასთან და წარმატებისთვის აუცილებელ ინტელექტთან (ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ თქვენი საუბრების ჩანაწერებს თუ კრიტიკულად გააანალიზებთ, ბევრი რამის გამო თვითონაც უხერხულობას იგრძნობთ).

ჩვენში, სამწუხაროდ, წარმატებუ-



ბუკიკიო - კიო, მამბრამ... ვენესიური და სხვაბან ეს უნდა იცოდნენ!..

ლად ითვლება ადამიანი, რომელიც ტელეკრანზე ხშირად ჩნდება ხოლმე და თუ ის ამერიკაშიც არის ნამყოფი, მაშინ ხომ... პროვინციალიზმია ეს ყველაფერი, დამიჯერეთ, ნუ აყვებით მოჩვენებით ცდუნებებს, თუ გასურთ წინ იაროთ(!).

...აიჭყრით და დღესაც ვერ გამოდიხართ ამ მდგომარეობიდან. ნაცვლად იმისა, რომ მარცხიდან დასკვნები გამოგეტანათ, ობიექტური თვითშეფასება გაგეკეთებინათ და საჭირო წიგნები წაგეკითხათ, თქვენი მაშინდელი უმწეო მდგომარეობა პარლამენტის თავმჯდომარეს დააბრალებთ, სახე მთლიანად დაკარგეთ, გაბოროტდით და შეურაცხყოფებით ცდილობთ ანგარიში გაუსწოროთ.

ქალბატონო ანა, ნუ მიწყენთ და დასკვნის სახით, როგორც მრავალმხრივი გამოცდილების მქონე უფროსმა ადამიანმა, ნაკლები გამოცდილების მქონე უმცროსს, ერთი რამ შემოძლია გირჩიოთ - მივრჩე პაუზა აიღეთ, რომ დაფიქრებისთვის დრო გქონდეთ. იქნებ, ამერიკაში წასვლამდე რომ ვიცნობდით, ის ანა იპოვოთ.

ისავე ვენეციის კომისიას დავუბრუნებ: კანონპროექტის საერთო შეფასება დადებითია. რეკომენდაციებიდან კი მხოლოდ ორს შეიძლება ეწოდოს სამართლებრივი (საკვალიფიკაციო გამოცდებს რომ ეხება და ინტერესთა კონფლიქტს), თუმცა ამ ორიდან ერთს (გამოცდებს) მაინც

დააპირავს პოლიტიკური ელფერი. რაც შეეხება დანარჩენ ორს (კენჭისყრის წესს და უზენაესი სასამართლოს გარკვეული ვაკანსიების შევსების გადავადებას), ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და მხოლოდ „ნაცმოდრაობის“ პოლიტიკურ ინტერესს შეიძლება ემსახურებოდეს. ვინმემ „შეთქმულების თეორიების“ ბლანდვაში რომ არ დამადანაშაულოს, ჯერ ამ ბოლო ორი რეკომენდაციის ანა-კენჭისყრით შეცვლის შემოთავაზება, დენიმე მაგალითს მოვიტან საქართველოს კანონმდებლობასთან აღნიშნული კომისიის წარსული ურთიერთობებიდან და რამდენიმე მაგალითსაც, პარალელურ რეჟიმში მოქმედ, საქართველოს „მეგობარი“ ზოგიერთი ოგანიზაციისა თუ ინსტიტუციის „მოღვაწეობიდან“.

ვაკანსიების შევსების გადავადების რეკომენდაცია წმინდა პოლიტიკური შინაარსისაა და ვენეციის კომისიის ფიქრისა და ზრუნვის საგანს არანაირად არ წარმოადგენს. უფრო ზუსტად და მკაფიოდ

რომ ვთქვათ, ბუკიკიოს არავინ ეკითხება, ჩვენ რამდენ მოსამართლეს დავნიშნავთ და როდის. უბრალოდ, პატარა და სუსტი საქართველოს ხელი-სუფლება იძულებულია, იმოქმედოს „დიდ კაცთან პატარა კაცსას“ პრინციპიდან გამომდინარე და შეეცადოს, არც მწვადი დაწვას და არც შამფური. ასეთ შემთხვევებში, მთავარია, ჩვენ, საზოგადოება არ გავჩუმდეთ და არ შევეგუოთ ამ ღირსების შემლახვ და მოკიდებულეებას.

ირაკლი კობახიძემ კი დააზღვია კონსტიტუციასთან დაკავშირებული „რჩევები“ (კიდევ კარგი, რომ დააზღვია), მაგრამ ბუკიკიომ „მაინც მონახა ხერხი“ და სასამართლო სისტემისადმი ნდობაზე ალაპარაკდა, ანუ „ნაცმოდრაობის“ (თავის ეკა ბესელიანად) ნარატივის მოაჯდა და მისდა სამარცხვინოდ, ძალიან შორს გაიჭრა კომისიის უფლებამოსილების ფარგლებიდან.

შეიძლება ვინმე შემომედავოს – ბუკიკიომ, ალბათ, ეს კონფლიქტის ჩასაქრობად, კომპრომისის მოძებნაში დასახმარებლად გააკეთაო. პასუხი აქაც მარტივია – ჯერ ერთი, ვენეციის კომისია წინას ბალი არ არის და უფლებამოსილება უფლებამოსილებასა და სილბედას და მეორე – „ნაცებისთვის“ რაიმე (თუნდაც მხოლოდ სალაპარაკო) თემის გადაგდება, ახალი დესტრუქციული მოქმედებების საფუძველია, რადგან ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც ქვეყანაში დესტაბილიზაციისკენ არის მომართული და... ეს ბატონმა ბუკიკიომ არ შეიძლება არ იცოდეს(!).

რაც შეეხება კენჭისყრის ფორმას... 2013 წლის რეკომენდაციის საფუძველზე დაკანონებული ფარული კენჭისყრის ღია კენჭისყრით შეცვლის შემოთავაზება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დიდ კითხვის ნიშნებს აჩენს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სათუნა გოგორიშვილმა სწორად ახსნა მიზეზი – რეალობა შეიცვალა და წესიც იმიტომ უნდა შეიცვალოს – მაგრამ, „რატომღაც“, ფრჩხილების გახსნა „დაავიწყდა“.

ფრჩხილებში კი, აი, რა იკითხება: 2013 წელს „ნაცები“, თავის შიდა და გარე „მეგობრებიანად“, დარწმუნებული იყვნენ, რომ მოსამართლეებზე გავლენებს სრულიად შეინარჩუნებდნენ. ამიტომ, ფარული

კენჭისყრებიც მათ ინტერესში იყო და მოსამართლეთა უვადო დანიშვნებიც. დღეს, როცა სასამართლო სისტემაში რეალობა ქვეყნისთვის სასიკეთოდ, ანუ მათ საზიანოდ, შეიცვალა, ბუნებრივია, „პლასტინკაც“ გადატრიალდა.

... და ესეც, არ შეიძლება ბატონმა ბუკიკიომ არ იცოდეს(!).

სწორად მიმიხვდი, მკითხველო, მართლაც მანვალეებს ეჭვები, რომ ბატონი ბუკიკიო გარკვეული ვალდებულებებით უნდა იყოს დამძიმებული საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან ძველი ურთიერთობებიდან გამომდინარე. მარტო ეჭვებზე რომ იყოს საქმე, ვინ ოხერი ამოიღებდა ხმას. მაგრამ რა ვუყოთ იმ უცნაურ ლოგიკას, წლების განმავლობაში თვალის დახუჭვებს, დათმობებსა და კომპეტენციის საზღვრებიდან გასვლებს ყოველთვის ცალმხრივი სახე და შინაარსი რომ ჰქონდა?

თბილისი პატარა ქალაქია და არაფერი იმალება. არცთუ ბოროტი ხმები ამბობენ, რომ 2004 და 2010 წლების საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ჩამოტანილ მკაცრ დასკვნებს ბატონი ბუკიკიო სააკაშვილთან რომ შეიტანდა ხოლმე, მერე იქიდან გამოსული, ცალკეულ რეკომენდაციებში, ნაცვლად სიტყვებისა – „ეს არ შესაბამება დემოკრატიის მოთხოვნებს“, „ეს სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა“ და სხვ. – ჩაურთავდა ხოლმე ჯადოსნურ სიტყვებს – „ხომ არ გვეფიქრა“, „კარგი იქნებოდა“ და სხვ. და რაც მთავარია, მთელ ტექსტს თავში ან ბოლოში მოარგებდა კიდევ ერთ, ზეჯადოსნურ ფრაზას – „მი-



უხედავად წარმოდგენილი შენიშვნებისა, ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი“. სამართალში, ან პოლიტიკაში თუნდაც მძტ-ნაპლეზად ჩახედულ ნებისმიერ პირს კარგად მოუხსენაოდა და მოუხსენაოდა, რომ 2004 წლის ცვლილებაში იქონი სუპერ-საპარტიციპაციო, ანუ შუალედური საპარტიციპაციო, სოლო 2010 წლის ცვლილებაში – სუპერ-საპარტიციპაციო მმართველობის დეკლარაცია. ისინი კი „მეგობრები“ კომისიისადმი „მეგობრად“, „წინგადადგმული ნაბიჯი“...

რა გინდა, რომ ქნა? გეტყვიან, ყველა შენიშვნა წარმოდგენილი გვაქვს და შემარბილებელი ფრაზები სტილის ამბავიაო. არადა, უხსენი ახლა ამათ, რომ ყველა ტელევიზია სააკაშვილის იყო და იქ მარტო „ჯადოსნურ“ და „ზეჯადოსნურ“ ფრაზებს კითხულობდნენ და ვისაც „არ სჯეროდა“, გლდანის „მერვესკენ“, გზაზე დაადევნებდნენ ხოლმე – რა გინდათ, თქვე უმადურებო, წინსვლა ხომ არის, ამან თქვაო, იმან თქვაო, ბუკიკიომ თქვაო...

მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბატონ ბუკიკიოს ეს ყველაფერი, ჩვენი ახსნა-განმარტებების გარეშეც, კარგად მოეხსენებოდა – არ შეიძლება არ სცოდნოდა(!).

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ბატ. ბუკიკიოს მიერ დაუტრეფავში გადაბოტება პირველი არაა. 2016 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებითაც ჩვენს ვენეციელ მეგობრებს „კეთილმა სურვილებმა“ უცებ „დაავიწყდა“, რომ პოლიტიკაზე ლექციების კითხვა მათი საქმე არ იყო და „გვირჩიეს“ 2020 წლის არჩევნები პროპორციული წესით ჩაგვეტარებინა. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, ამ შემთხვევაში, წინასწარ ჰქონდა განცხადებული, რომ მხოლოდ სამართლებრივ შენიშვნებს გაითვალისწინებდნენ, მაგრამ ბუკიკიომ „ეტყობა

ჩათვალა, რომ ქართველი ხალხის ნდობის მანდატით აღჭურვილ პოლიტიკოსებზე კარგად იცის, რა არის ჩვენი ქვეყნისთვის კარგი და რა არა.

როდესაც ადამიანი წესებს არღვევს და თავის უფლებამოსილებებს სცდება, თანაც ამას სჩადის სისტემატურად, ერთი პოლიტიკური მხარის სახარებლოდ, მაქვს სრული უფლება, ვიფიქრო, რომ ეს დამოკიდებულება არ არის თავისუფალი კერძო, მერკანტილური ინტერესებისგან.

მსჯელობის დამაჯერებლობისთვის ზოგიერთი სხვა „მეგობარი“ სუბიექტების „დახმარების“ მაგალითებიც გავისვენოთ: შეუძლებელია, ამერიკულმა ორგანიზაციებმა, როგორცაა NDI და IRI, არ იცოდნენ, რომ მათი ყოველი გააქტიურება, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდებში, საზოგადოების მიმართ გაღიზიანებას იწვევს, „მათ მიერ დანახული რეალობის“ უკიდურესი ტენდენციურობის გამო. წესით, არ შეიძლება ამ ორგანიზაციებს არ აწუხებდეთ ის ნამდვილი რეალობა, რომ ხალხი, დიდი ხანია, ლანძღვიდან დაცინვაზე გადავიდა და მათ ე.წ. კვლევებზე ანეკდოტების სერიები იქმნება, მაგრამ...

ზამთარული მსგავსია ქართველ...

სწორად მიმიხვდი, მკითხველო, მართლაც მაწვალებს ეჭვები, რომ ბატონი ბუკიკიო გარკვეული ვალდებულებებით უნდა იყოს დამძიმებული საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან ძველი ურთიერთობებიდან გამომდინარე. მარტო ეჭვებზე რომ იყოს საქმე, ვინ ოხერი ამოიღებდა ხმას. მაგრამ რა ვუყოთ იმ უცნაურ ლოგიკას, წლების განმავლობაში თვალის დახუჭვებს, დათმობებსა და კომპეგენციის საზღვრებიდან გასვლებს ყოველთვის ცალმხრივი სახე და შინაარსი რომ ჰქონდა?

ლი საზოგადოების დამოკიდებულება „ევროპის სახალხო პარტიის“ გარკვეული ჯგუფის მიმართაც.

ჩამოთვლილი ორგანიზაციების ობიექტურობისგან დაცლილი აქტივობების შეფასება, დიდი ხანია, ერთ წინადადებაზე დამყარებულია და ის ასეთი შინაარსისაა – ისინი არა საქართველოს მეგობრები, არამედ მრავალი მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი სააკაშვილისა და მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული „ნაციონალური მოძრაობის“ მეგობრები არიან.

ზემოთ, კითხვის ნიშნებზე საუბრის დროს, სიტყვა ინსტიტუტიაც ვახსენე... აშშ-ის ერთ-ორი ელჩი მყავდა მხედველობაში. ბატონ ჯონ ბასზე ჩემს ერთ ადრინდელ წერილში ვსაუბრობდი, როდესაც 26 მაისის მოვლენები გავისხენე. მაშინ ვთქვი, რომ ამ მალალი რანგის პერსონის განცხადებები, აქციის დარბევამდე და არბევის შემდეგ, მისი უფლებამოსილების ფარგლებს საგრძობად სცდებოდა და უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევად დაკვალიფიცირებას იმსახურებდა.



ჯონ ბასი

რაც შეეხება აშშ-ის უკანასკნელ ელჩს, ბატონ იან კელს... პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ძალიან მძიმე შთაბეჭდილებები



იან კელი

ასევე საზოგადოებრივ დამოკიდებულებას გამოხატავდა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიმართაც, რომლის მოღვაწეობითაც ამერიკელი ხალხი აშკარად კმაყოფილი ჩანს და ვფიქრობ, ქართველებსაც გვაქვს საფუძველი, მისი აქტიური მხარდაჭერისა და პრინციპული სამომავლო გადამწყვეტილებების გვემიყვებოდეს).

კიდევ ერთი ფაქტი – წელანაც ვთქვი, თბილისი პატარა ქალაქია-მეთქი, ამიტომ, როგორც წესი, ჩვენში თითქმის არაფერი იმალდება ხოლმე. ერთ თვეს ვიყავი იქ, იმ ამბავებზე მოაღწია ჩვენს ყურებამდე, რომ სახალხო დამცველად ნინო ლომჯარიას მოვლინება თურმე ბატონი კელის ავტორიტეტის (სტატუსის) დამსახურება ყოფილა.

ნინო ლომჯარიას ომბუდსმენობა, ძველი დროიდანვე „ნაციონალობასთან“ მისი აპელირების მიუხედავად, თავისთავად, დიდი პრობლემა არაა. პრობლემა ისაა, რომ ბატონმა ელჩმა ეს კანდიდატურა „ნაციონალობის“ ინტერესებიდან გამომდინარე „შეარჩია“, ხოლო უფრო დიდი პრობლემა ისაა, რომ სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის საქმეებში უხეშ ჩარევას არ მოერიდა.

საზოგადოებას, ბუნებრივია, აინტერესებს, რა შეიძლება იყოს, ზოგიერთი მაღალი რანგის პერსონისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ქვეყნისადმი ამ არამეგობრული და თანამშრომლობის, რეალური დახმარების ობიექტურ ინტერესებს აცდენილი დამოკიდებულებების მიზეზი.

რეალურად, მე მხოლოდ ერთი (სხვა დანარჩენი მხოლოდ თეორიულ ვარიანტებად შეიძლება განიხილებოდეს, იმდენად მძიმეა თავისი შინაარსით) მიზეზი (ასევე, საკმაოდ მძიმე) შემიძლია ვივარაუდო:

„მეგობარი“ ორგანიზაციები და ცალკეული პირები, „მაღალი“ რანგის დიპლომატები ბარაკ ობამა, არაოფიციალური ვალდებულებებით დამოკიდებულებების საპარტოლო წინა ხელი-სუფლებასთან თანამშრომლობის პერიოდში და ამ ბერძენისგან ვერ თანამშრომლობის მიზეზი.

კითხვის ნიშნების სამიზნეში მყოფთა ჩამონათვალი, რასაკვირველია, სრული არ არის და თემის უფრო ფართოდ გაშლაც შეიძლება და უფრო მეტი კონკრეტის შეტანაც, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. ყველაფერს ერთ წერილში ვერ იტყვი.

მთავარია, საზოგადოება არც ერთ კითხვის ნიშანს რეგირების გარეშე არ ტოვებდეს. ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესი. და კიდევ უფრო მთავარია, გვესმოდეს და გვჯეროდეს, რომ ჩვენზე დამოკიდებული, ჩვენი სახელმწიფო ისევე არ იქცეს სასიფათო და არაჯანსაღი პოლიტიკური თამაშების არეალად.

თვალის დახუჭვაში და „ბატარა ბი“ იმის შიშით, რომ არავინ გავანაწყინოთ, წარსულს უნდა ჩაბარდეს. მჯერა, ჩვენ ახას შემოვალთ და გავაპატივებთ...

ბატონმა ბუკიკიომ და სხვაგვარც ეს უნდა იცოდნენ!

ბიძინა ღვალა, 20.04.2019



სისოსხლე სიკვდილის უეცრად

ბამონიანი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს აივან დურსუნის ძე გასანოვს წელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. თითქმის 30 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ ამ უაღრესად საინტერესო ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ხსოვნა დღესაც ცოცხლობს მისი მეგობრებისა და თანამედროვეების გულში. სწორედ ამის დასტურია ის, რომ 2 მაისს აივანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართება მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთში.

აივანს თავისი ხანმოკლე სიცოცხლისთვის საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია ჰქონდა. მარნეულის რაიონის სოფელ გეურარსში უბრალო, მაგრამ შრომისმოყვარე აზერბაიჯანულ ოჯახში დაბადებული ბიჭმა კაცობაში ღირსეულად ატარა საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობის „აქსაკალის“ (წინამძღოლი) სახელი. მან 1958 წლიდან გარდაცვალებამდე საკმაოდ მძიმე და რთული შრომითი გზა განვლო რიგითი სპეციალისტიდან აგრარული კომპლექსის ხელმძღვანელ მუშაკამდე: 1958-61 წლებში მუშაობდა გარდაბნის რაიონში მეურნეობის დირექტორად; 1961-75 წლებში – მარნეულის რაიონის სოფელ კაჩაგანის მეურნეობის დირექტორად; ამასთან, 1969-70 წლებში ხელმძღვანელობდა მარნეულის პურკომბინატს; 1970-75 წლებში მუშაობდა მარნეულისა და ალგეთის მეურნეობების დირექტორად; 1975 წლიდან 1981 წლამდე აივანს გასანოვი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა; 1981-82 წლებში – ბოლნისის რაიონის სოფელ სარაჩლოს მეურნეობის დირექტორი; 1983-86 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის

გაერთიანების ხელმძღვანელად; 1989 წლიდან გარდაცვალებამდე კი მარნეულის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ.

მთელი ამ ხნის მანძილზე აივანს განსაკუთრებული აზერბაიჯანელი მოსახლეობის, არამედ იმ რაიონებში, სადაც მას უმუშავია, ჩასახლებული სტიქიით დაზარალებული სვანების და აჭარლების იმედიც იყო. ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩენია რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. იგი დაჯილდოებული იყო ორი შრომის ნიშნული დროშის ორდენით და 1970 წელს აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

აივანს გასანოვმა შექმნა არაჩვეულებრივი ოჯახი ლატიფა გასანოვასთან ერთად. მათი ოთხი შვილიდან ლეილა ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორია, გულნარა – ცნობილი ექიმი, რამიზ გასანოვი – აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო დურსუნს გასანოვი – აზერბაიჯანის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ როგორც აზერბაიჯანში, ასევე საქართველოში, ამით ხელს უწყობენ საქართველო-აზერბაიჯანის კულტურულ-ეკონომიკური და მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, რითაც ღირსეულად აგრძელებენ ღირსეული მამის ტრადიციას.

ჯუმბარ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ბაკურ ბულუა, რესან კონცელიძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, ნოდარ მეფარიშვილი, ფაზილ გასანოვი, ვალერი გაგალია.

პარლამენტმა კობახიძის კანონპროექტი დაამტკიცა

87 ხმით პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის წესთან დაკავშირებით უმრავლესობის საკანონმდებლო პაკეტი მესამე მოსმენით დაამტკიცა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში დაგეგმილი ცვლილებების წინააღმდეგ 33-მა დეპუტატმა მისცა ხმა.

კანონპროექტით რეგულირდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცედურა, დგინდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატების პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის პროცედურა.

კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტი დაკორექტირდა და მასში ვენეციის კომისიის რამდენიმე რეკომენდაცია აისახა.

კორექტირებულ ვარიანტში აისახა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთათვის საკვალიფიკაციო გამოცდის გაუქმების თაობაზე. ასევე ჩაინერა, რომ თუკი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია, იგი კანდიდატების შეფასებისა და ხმის მიცემის უფლებით პროცედურის არც ერთ ეტაპზე არ სარგებლობს, აგრეთვე არ არის უფლებამოსილი კითხვით მიმართოს კანდიდატებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მათი მოსმენისას არც ერთ ეტაპზე.



თავდაცვის კომიტეტის განკარგულებით, გერმანელს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ტაგანროგის ავიამშენებლის ქარხანა მთელი მონყოლილობით ავიამშენებლებთან ერთად ევაკუირებული იქნა თბილისში, მანამდე ბელადის დავალების შესასრულებლად ბაქოს მენავთობების მიღებით უზრუნველყოფისათვის, რუსეთის, უკრაინის მეტალურგიული დარგის ამდღობის ნიკოლოზ ქაშაკაშვილის მიერ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ნავთლუღში აშენებულ საამქროებში დაფუძნდა თბილისში.

1944 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე გერმანელებთან მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ სტალინის განკარგულებით, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის გაგრძელება გადაწყდა რკინიგზის სადგურ რუსთავის დაუსახლებელ ბოსტანქალაქის ტერიტორიაზე, „სხვანი რომ არ დაატრონებოდნენ უკაცრიელ ტრამალებს, ქართულ მიწას“. ამავე განკარგულებით, სამხედრო მობილიზაციით, 1926 წელს დაბადებული 5000 ქართველი ახალგაზრდა, ფრონტის ნაცვლად, გერმანელების დანგრეული უკრაინის და რუსეთის მეტალურგიული ქარხნების აღსადგენად და მეტალურგის პროფესიის შესასწავლად იქნა გაგზავნილი.

პირველი თაობის მეტალურგების პროფესიის შესწავლის პერიოდში ქ. რუსთავის და მეტალურგიული კომბინატის დამფუძნებელმა ნიკოლოზ ქაშაკაშვილმა, საქართველოში ქიმიური აზოტის სასუქების ქარხნის ამოქმედების მიზნით, რომელიც იმ პერიოდში მხოლოდ კოქსის აირის ბაზაზე შენდებოდა, მიღების სანაშრომ ქარხნის პროექტს ტყიბულ-ტყვარჩელის ნახშირების და დაშქსნის რკინის მადნების ბაზაზე სრული მეტალურგიული ციკლი დაუმატა კოქსქიმიის, ბრძმედის საამქროების მშენებლობით, და საქართველოში ამოქმედდა მსოფლიოში მიღების მწარმოებელი პირველი მეტალურგიული ქარხანა სრული მეტალურგიული ციკლით, რომელმაც მეტალურგიულ კომბინატთან ერთად საფუძველი დაუდო ქიმიური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, ცემენტის, სამშენებლო და ცეცხლგამძლე მასალების, ამწემშენებელ, ჩარხმშენებელ, ქუთაისის ავტომობილების ქარხნებს, ახალციხის, ტყიბულ-ტყვარჩელის შახტების მშენებლობას. ჩვენს ქვეყანაში თბოენერგეტიკის განვითარებას და რკინიგზის ორლიანდაგიანი მაგისტრალის მშენებლობას, მთელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

ამ ტექნიკურ სიახლეთა განხორციელებამდე, უკრაინის, რუსეთის მეტალურგიულ ქარხნებში გაგზავნილმა პირველმა მეტალურგებმა, აღადგინეს გერმანელების მიერ განადგურებული ქარხნები, შეისწავლეს მეტალურგის მრავალდარგოვანი პროფესიები, ჩამოვიდნენ რუსთავში, ჩაებნენ გრანდიოზულ მშენებლობაში და **1950 წლის 27 აპრილს გმირული შრომით ვაჟ გიგინევიამ, ამირან ფანცულაიამ, გიორგი ფუფუნაშვილმა, მიხეილ სანადარაშვილმა, გიორგი სიგუამ, თარიმან ბარბაქაძემ, ვანო მეტრეველმა, შოთა შუბთითიძემ და სხვა გმირმა მეტალურგმა ბიჭებმა, მათი მასწავლებლების: ნიკოლოზ ქაშაკაშვილის, ნიკოლოზ გომელაურის, სოლომონ შარაძენის ხელმძღვანელობით გამოადნეს პირველი ნაღობი №1 ისტორიული მარტენის ლუმელიდან და ეს დღე საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაბადების, ამოქმედების დღე.**


მეტალურგიული ქარხნის სრული მეტალურგიული ციკლის, ქიმიური კომბინატის, ცემენტის ქარხნის, რუსთავის თბოენერგეტიკული ცენტრალის და მთელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შემდეგ ნიკოლოზ ქაშაკაშვილმა, მიიღწია რა თავის მიზანს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მის მიერ დაფუძნებულ მეტალურგიულ ფაკულტეტზე მისივე თაოსნობით აშენებულ სასწავლო მე-2 კორპუსში შეუდგა მოღვაწეობას ახალგაზრდა უმაღლესი განათლების ინჟინერ-სპეციალისტების მომზადების მამული შვილურ საქმეს, სადაც სხვა ოქროს მედალოსნებით დაკომპლექტებულ ჯგუფში, მას თავისი მისი შვილი გურამ ქაშაკაშვილიც დახვდა.

მედალოსნებით დაკომპლექტებული 606-ე ფოლადის მდნობელთა ჯგუფი გურამ ქაშაკაშვილთან ერთად გამოირჩეოდა ფრიადოსანი სტუდენტების სიმრავლით. თუჯის, მეტალურგის პროცესების და ქარხანაში მუშაობის უნარ-ჩვევებზე მათ ლექციებს რუსეთის, უკრაინის მეტალურგიული დარგის ამდღობის ნიკოლოზ ქაშაკაშვილის და ქალაქ რუსთავის დამფუძნებელ-ამშენებელი, პროფესორი ნიკოლოზ ქაშაკაშვილი უკითხავდა.

გურამი, მეგობრებისგან განსხვავებით, ბი-

ძის რჩევით ასპირანტურაში დარჩენის მაგივრად, ქარხანაში მივიდა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მიაშურა, სადაც, სხვა ახალგაზრდა სპეციალისტებისგან განსხვავებით, ოსტატის თანაშემწის თანამდებობას გამოჩენილ მეფოლადეებთან, ჩამომსმელებთან – ხელქვეითობა, ფოლადის დნობისა და ჩამოსხმის ტექნოლოგიურ პროცესებში აქტიური მონაწილეობა, ფიზიკური შრომა ამჯობინა და ოსტატად, უზნის უფროსად საამქროს უფროსის თანაშემწედ და მარტენის საამქროს უფროსის თანამდებობაზე სულ ჩქარა დანიშნურდა, შედეგად არ დაეყოფნა, მეფოლადეთა კოლექტივს, რომელიც სისტემატურად ჩამორჩენილი იყო, ისე უხელმძღვანელა, რომ საბჭოთა ქვეყნის მასშტაბით, სწარმოო მაჩვენებლებით ყოველწლიურად გამარჯვებული გამოდიოდა.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, ალბათ, დარ-



1950 წლის აპრილში ამოქმედდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

მშენებელი იყო ეროვნულ ტრადიციად ქცეულ, ბუნებისა და ხალხის მომწამლა, გაჩერების პირას მისულ ნიკოლოზ ქაშაკაშვილის სტუდენტობის მეგობრის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას რომ გურამ ქაშაკაშვილი უშველიდა და იგი ამ ქარხნის დირექტორად დანიშნეს. მან რეკორდულ დროში, სულ რაღაც ოთხ წელიწადში, შეძლო ქარხნის 23 ლუმელის, 4 საამქროს ძირეული რეკონსტრუქცია-გადართობა და ახალი შემქმნელი გერმეტიზირებული იაპონური ელექტროენერგეტიკული ლუმელების მე-1 საამქროს მშენებლობა, მონტაჟი და ამოქმედება, ყველა ელექტროლუმელის მფილტრავი დანადგარებით აღჭურვა და არა მარტო ზესტაფონის, მთელი იმერეთის რეგიონის დამაბინძურებელი, მომწამლაკი გამოწვევების აღკვეთის ალკემა. ზესტაფონის ლუმელებმა დაინახეს, რომ ჩვენი პლანეტის ცა ზესტაფონშიც ლურჯია და ფერის ბოლო გამოწვევები სიმღერით „ზესტაფონო გმორდები“ და „მრავალჭამიერით“ გააცვიფრა.

ის ასეთივე შეუპოვრობით ებრძოდა მარტენის გამდარი ფოლადის სტიქიას, ზესტაფონში გარემოსა და ხალხის მომწამლაკი გამოწვევების პრობლემებს და ყველგან გამარჯვებას აღწევდა. ამ შეუპოვრობით და მტკიცე ნებისყოფით გურამი წინ აღუდგა ვაიოლიტიკოსების, არაფორმალური ორგანიზაციების მოწყობილ 12-ათასიან მიტინგის მოწვევებს 1989 წლის 8 აპრილს, რომლებსაც ქარხნის გაჩერება სურდათ და მანქანას, როგორც კურსს, ვინმემ დააფარა ამ საურო მამულიშვილურ ღონისძიებით რამდენი მილიონი დოლარი შეემატა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას? აქვე უნდა აღვნიშნოთ მისი ღვაწლი ცხინვალის და აფხაზეთის სეპარატისტების მიერ გაჩაღებულ სამკვეთრო-სასიცოცხლო მათამკვეთრომში. ჩვენს სამხედრო ფორმირებებს ძირითადად გურამ ქაშაკაშვილი და მეტალურგიული

ლობით ქარხნის დაცვის მიზნით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მე-8 პოლკის ავტომობილებით შეიარაღებულ საჯარისო ნაწილებთან და ჩვენი ქვეყნის რეგიონებიდან ჩამოსულ და რუსთავის მკვიდრ ახალგაზრდებს, მათ შორის არასრულწლოვნებს, სიცოცხლე შეუნარჩუნა, რითაც მრავალი ოჯახი იხსნა უბედურებისაგან.

შეუპოვარი, მებრძოლი ხასიათით ის არ შეუშინდა შავი მეტალურგიის მინისტრის მრისხანებას... და მან შეუძლებელიც შეძლო, მოახერხა რუსთავში საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის ნიკოლოზ ტიხონოვის და უგეგმავი ჩამოყვანა და საკითხის ადგილზე განხილვით შავი მეტალურგიის მინისტრის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა მთავრობის განკარგულებით გარემოს მომწამლაკი დაგეგმილი საამქროების რეკონსტრუქციის ნაცვლად, ახალი ელექტროენერგეტიკის საამქროს პროექტირება, მშენებ-

ქართული ფოლადის დიდი ქართველი ფოლადკურთხე ნათლიისგან პაღლსხეპული

ლობა და ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ობიექტის, გარდაბნის თბოენერგეტიკისადგურის გადაიარაღება სამი სამას-მეცხრამეტე, მე-9, მე-10 და მე-11 აგრეგატებით – 900 მეგავატით სიმძლავრის გაზრდა. რითაც თბილისის და მთელი საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგება საიმედო გახდა.

მისი ძალისხმევით და ბრძოლისუნარიანობით ქვეყნის ენერგომომარაგება რადიკალურად მყარ გახდა მას შემდეგ, რაც მისი თაოსნობით გადაწყდა აფხაზი სეპარატისტების მიერ მანამდე წართმეული ენერგეტიკის სიმძლავრეების მართვის გადაცემა საქართველოს ენერგეტიკოსებისათვის, რაც ვერ შეძლეს საქართველოს მთავრობამ და ჩვენმა პრეზიდენტმა. ამ ურთულესი, პოლიტიკური, ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო საკითხის გადაწყვეტა გურამმა შეძლო 1993 წლის ივლისში, მეგობრების დახმარებით, როდესაც მიიღწია პრეზიდენტ ბორის ელცინის განკარგულების: „Черномырдину, Сосковцу, прошу немедленно рассмотреть, решить положительно, учесть бедственное состояние грузинского населения“. ამ განკარგულებით ბატონი გურამი 20 დღე იბრძოდა ენერგეტიკის სამინისტროში, დღემის დეპუტატებთან, აფხაზი სეპარატისტების წარმომადგენლებთან და მათი და არძინბას კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღწია ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შედგენილ, რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებულ ოქმს, რომლითაც საქართველოს გადაეცა ენერგეტიკის დატვირთვის და გენერაციის მართვის უფლება. ეს ერთადერთი მშვიდობიანად მოგვარებული საკითხია საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის თითქმის 30 წლის პერიოდში, რომელიც წარმატებულად სრულდება. 1993 წლიდან დღემდე ჩვენი ქვეყანა მართავს ენერგეტიკის და ქარხნის ელექტროენერგეტიკის ცყიდით საზღვარგარეთ. თავი რომ დავანებოთ საკითხის მორალურ, პოლიტიკურ არსს, ვინმემ დააფარა ამ საურო მამულიშვილური ღონისძიებით რამდენი მილიონი დოლარი შეემატა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას?

აქვე უნდა აღვნიშნოთ მისი ღვაწლი ცხინვალის და აფხაზეთის სეპარატისტების მიერ გაჩაღებულ სამკვეთრო-სასიცოცხლო მათამკვეთრომში. ჩვენს სამხედრო ფორმირებებს ძირითადად გურამ ქაშაკაშვილი და მეტალურგიული

ქარხანა უზრუნველყოფდა სამხედრო საომარი ტექნიკით. გუმისთაზე დაპირისპირებულ ფრონტზე ყველაზე დიდ ცენტრალურ ნაწილს იცავდა მეტალურგიული ქარხნის და ქ. რუსთავის მებრძოლთა დივიზია პოლკოვნიკ, ანგანსვენებულ დავით გოლუბიანის მეთაურობით და ამ ბრიგადაში ავტომობილი ხელში იბრძოდა ქართველი პატრიოტი, მწერალი გურამ ფანჯიკიძე. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, ჩვენი გურამიც დაფრინავდა სოხუმში და ჩვენს მებრძოლებს ამარაგებდა იარაღთან ერთად, მეფოლადის სპეცტანსაცმლით, ჩექმებით, ჩაფხუტებით, საჭმელ-სანოვავით, სარეცხი საშუალებებით, რომელსაც იბარებდნენ ჩვენი მასპინძლები გენოკალანდია და მისი ძმები, სოხუმის მერი გურამ გაბისკირია, მაგრამ ამაოდ, რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევამ ჩვენი გუმისთაის გალმა აფხაზების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

რუსთავი ჩვენი ქალაქია, ბატონი გურამ ქაშაკაშვილიც ჩვენია – წარსულით, თანამედროვეობით და მომავლით, იმ მწარე რეალობითაც, რომ დღეს თუ ვინმე აკლია რუსთავს კარგ პატრონად, გონიერ, მზრუნველ კაცად, სულით ხორცამდე გულშემატკივარ რუსთაველად, ეს სწორედ ჩვენი გურამია, რომელიც მესამედ დიდი უპირატესობით ავირჩიეთ პარლამენტში, მაგრამ არჩევნების გამყალბებელმა, მაშინდელმა რუსთავისა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ, არჩევნებში მეთრეფი ადგილზე გასული კანდიდატი დასვა პარლამენტში. ჩვენი – რუსთაველების არჩევანი მოაცილეს პარლამენტს, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, რუსთავსაც და მეტალურგიულ ქარხანასაც, რითაც საქართველოს, ერის ყველაზე დიდი დოქტორი, მეტალურგიული კომბინატი გააჩერეს, გაანადგურეს, გააჩუქეს, მასთან ერთად საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის კომპანიაში გაერთიანებული ჭიათურმანგანუმის, სამთომადნო გაერთიანება, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნები. ამ კომპანიით თავის დროზე ბატონმა გურამმა ჩვენს ქვეყანას გადაურჩინა ქვეყნის მრეწველობის 2/3 წარმოება, 36000 მუშა-მოსამსახურით, რომელთაც ბატონ გურამის პარლამენტში არჩევამდე ჩიტის რძეც არ აკლდათ, ყველაფრით შეუფერხებლად მარაგდებოდნენ.

ელექტროფოლადსადგომი საამქროს მშენებლობასთან ერთად, ერთი ბრძმედით და მარტენის საამქროს 8 ლუმელით, თუჯის და ფოლადის, საგლინავი და მილსაგლინავი საამქროების წარმოების სარეკონსტრუქციულ მიზანს და საბჭოთა ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს შორის რუსთავი პირველობას არავის უთმობდა.

უკრაინის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის გენერალურ დირექტორ მაცაცორასთან მეგობრობით ქარხანამ შეძლო საგლინავი დანახების 1000-ის, 900/950-ის რეკონსტრუქცია-გადართობა, სორტული გლინვის საამქროს მოქმედებული დგანების შეცვლა ჩერეპოვეცის და დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნების დახმარებით სრულიად ახალი 18 ავტომატიზებული დგანის ხაზით.

ქარხანამ ასევე შეძლო მილსაგლინავი საამქროში 12000 მეტრის სიღრმის ნავთობმოსაპო-



ლიანოსტისკური ცენტრის ბასნაზე რმ-ში, 1995 წელი

ვებელი ჭაბურღილებისათვის მალალი სიმტკიცის სამაგრი და სატუმბო-საკომპრესორო მილების წარმოებისათვის მალალი თერმულ-მექანიკური დამუშავების, მოშვებისა და თბილი გლივის, მილებისა და ქუროების ნაკადური ხრახნმჭრელი, ავტომატიზებული, რობოტიზებული პროგრამით მართული ტექნოლოგიური ხაზის ამოქმედება. მშობლიურ მარტინის სამპროში უკრაინელი მეცნიერების და მეტალურგების ორნაკადიანი უწყვეტი რადიალური ჩამოსხმის, სლაბების დანადგარის მოდერნიზაციით მსოფლიოში პირველად განახორციელა ოთხნაკადიანი მილნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური დანადგარის სამილ ფოლადების გამოდნობის, განჯანგვის, ინერტული აირებით რეაგენტებით დამუშავების და უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიის შემუშავება და ამ მანქანის ლიცენზია შეიძინა იაპონიამ და დღეს მთელი მსოფლიო ამ კონსტრუქციის მანქანებით ასხამს ფოლადს.

მეტალურგიის სამინისტრომ და საბჭოთა მთავრობამ 1990 წლის მარტინებლებით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს პირველი ადგილი მიანიჭა და დიდი ფულადი პრემიით, 40 ორდენით, ხოლო ქარხნის დირექტორი ლენინის მე-2 ორდენით და სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავით დააჯილდოვა, რაც, სამწუხაროდ, ერთი გარემოების გამო ჩაიშალა ...

ქარხანაში პროგრესული ტექნოლოგიის ტექნიკის დანერგვასთან ერთად ქარხნის ხელმძღვანელობა არ ივიწყებდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ საკითხის მოგვარება ქარხნის სანარმოო, ხარისხობრივი, ეკონომიური და ეკოლოგიური საუკეთესო მაჩვენებლების გარანტი იყო. ამიტომ, როგორც ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ისე რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებში, ჩვენს ქვეყანაში სოციალური საკითხების და სამუშაო პირობებით, ორივე სანარმოო სამაგალითო იყო.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა-გადართობასთან ერთად, ბატონმა გურამმა თავისი თაოსნობით ქრუსთავში, ზემოდან დავალევის გარეშე, ააშენა პოლიტექნიკური ტექნიკუმის ორი ოთხსართულიანი კორპუსი, ახალგაზრდა სპეციალისტების სახლად მონათლული ქალაქის 10-სართულიანი ყველაზე ლამაზი შენობა, სასტუმრო „რუსთავი“, რომელმაც სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, სახლთმშენებლობის ახალი კომბინატი, მრავალი სკოლა, საბავშვო ბაღი, საბავშვო სახატორი, ვახტანგ გორგასლის, ნმ. მიქაელის ეკლესიები, სასაშუალო სკოლის რუსთავის ორი მაგისტრალი, მედსანაწილის კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური ცენტრი, მეტალურგთა სასწავლო-სამეცნიერო კორპუსი, როგორც ზესტაფონში, ისე რუსთავშიც მარაკანას ტიპის ფეხბურთის დახურული სტადიონი მოედნის სადრენაჟო სისტემით, რისთვისაც ფიფას პრეზიდენტმა მხოლოდ რუსთავში დაუშვა ახალგაზრდა ფეხბურთელების ევროპის პირველობის მატჩები ოთხკლომეტრიანი საბავშვო რკინიგზა, „ერქსონი“-ს ფირმის 3000-ნომრიანი სატელეფონო სადგური, დანიყო მედსანაწილის საავადმყოფოს ახალი კორპუსის მშენებლობა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალამოს დაუსრულებელი სწავლების ფილიალის მშენებლობა სპორტული მოედნებით, საცურაო აუზით.

იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსთავის, ზესტაფონის, მშობლიური ბაღდათის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში, მაგრამ ამ კუთხით ყველაზე დიდი დახმარება დედაქალაქ თბილისს აღმოუჩინა.

აალორძინა მიხეილ ჯავახიშვილის სოფლები: სიონი, წერაქვი. საშრეთ საქართველოში სოფელი ოკამი, მეცხოველეობის, მეფრინველეობის ფერმებით, სვანეთის და მთიანი აჭარადან მენყრებით დაზარალებულ ოჯახებს აუშენა 150-ორსართულიანი კოტეჯი, სკოლები და საბავშვო ბაღები. მატერიალურ-ფინანსური დახმარება და ქარხნის სამშენებლო ბრიგადებით დანგრეული სახლები აუშენა დმანისის, ბოგდანოვის, საჩხერის და რაჭის მიწისძვრით დაზარალებული სოფლების მოსახლეობას.

ჩვენი წერილის გმირმა შეუძლებელიც შეძლო, იმ პერიოდში ფართო მოხმარების საქონლის დეფიციტის აღმოფხვრისათვის საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, დასავლეთის ქვეყნების, ავსტრიის, ისრაელის და იაპონიის ფირმებთან პარტნიორობით შექმნა საბჭოთა კავშირში და საქართველოში პირველი ერთობლივი სანარმოო, იაპონური ტელევიზორების, ვიდეოაუდიო ტექნიკის, აშშ-ს ყველა გამოჩენილი ფირმის სიგარეტების, სარეცხი მანქანების, მაცივრების წარმოება, ულტრა მოდის ქაღალდი და მამაკაცის კოსტიუმების, ტყავის ქურთუკების, „დუბლიონკების“ შეკერვა და ამ პრესტიჟული საქონლით შედავითიან ფასებში მეტალურგებთან ერთად, ქალაქის და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი მოთხოვნის ნაწილობრივი უზრუნველყოფა.

ის ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი რეკორდსმენია თავისი 103 გამოგონებით, რომელთაგან 27% „აღბათ მსოფლიო რეკორდია“, დანერგულია სხვადასხვა ქვეყნებში, ხოლო შვიდის ლიცენზია შეიძინა აშშ-მ, იაპონიამ და გერმანიამ. ის ერთადერთია საქართველოში, ვისი მეცნიერული აღმოჩენების საფუძველზე სამი გამოგონება, რომლის პრიორიტეტი აღიარა ჟენევაში მოქმედმა მსოფლიოს საერთაშორისო საპატენტო უწყებამ, რის შემდეგ დაპატენტდა რუსეთში, ჩინეთში და მთავრდება პატენტირება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უფრო კონკრეტულად რუსთავის წარმატებულ სანარმოო, საგამომგონებლო და მეცნიერულ მოღვაწეობაზე წრდილოეთ ამერიკიდან, მეტალურგთა ქალაქიდან, პიტსბურგიდან, ფილოსოფიის დოქტორი მაიკლ კანი გვატყობინებს: „გურამ ქაშაყაშვილი ცნობილია, როგორც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სლაბების უწყვეტი ჩამოსხმის პირველი რადიალური შეყვანის აქტიური მონაწილე და შემდეგ კი მისი ოთხნაკადიანი მანქანად გადაკეთების პროექტისა და უნაკერო მილებისათვის ნამზადების გამოდნობა-ჩამოსხმის უნიკალური ტექნოლოგიის შემუშავების თანაავტორი და პრაქტიკაში განხორციელების ხელმძღვანელი.“

პროფესორი მ. ქაშაყაშვილი ხშირად გამოდის მოხსენებებით საერთაშორისო კონფერენციებზე ჩინეთში, ევროკავშირის ქვეყნებში და აშშ-ში. მისი შრომის შედეგები სისტემატურად ქვეყნდება რეცენზირებად მრავალენოვან ჟურნალებში „სტალი“ და „მეტალურგი“, როგორც ამ რედაქციების წარმატებული რედაქციის კოლეგების წევრი. მისი კვლევა ორიენტირებულია ნავთობის და გაზის მოპოვების მძიმე პირობებში მომუშავე მიწებისათვის განკუთვნილი ფოლადის გამოდნობის და უწყვეტი ჩამოსხმის მანქანების განვითარებაზე. მისი ზოგი პატენტი აღიარებულია აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. ჩვენ განსაკუთრებით დაინტერესებული ვართ მისი ევოლუციური ტექნოლოგიებით, იმ აგრეგატის პატენტით, რომლითაც მთელ მსოფლიოში 2 აგრე-

გატის ნაცვლად ერთ აგრეგატში ხორციელდება გადნობა-განჯანგვა-რაფინირების პროცესები და იმავე ციცივიდან – უწყვეტი ჩამოსხმა.

შეუძლებელია მოკლე საგაზეთო პუბლიკაციაში გვერდი აუვართ გურამ ქაშაყაშვილის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის და რუსთავიდან მესამედ ჩვენი არჩეული დეპუტატია, სწორედ მისი თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით იქნა მიღებული კანონები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის, მენარმეობის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სხვა დარგებში პოზიტიური პროცესების განვითარებას. მან მაჟორიტარ დეპუტატთა შორის პირველმა შექმნა მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, დააფუძნა ყოველკვირული გაზეთი „მაჟორიტარი“, სადაც იბეჭდებოდა რუსთაველი ამომრჩევლების კრიტიკული წერილები ქალაქის მოსაგვარებელ საჭირობოტო საკითხებზე და ამით ამომრჩევლები აქტიურად მონაწილეობდნენ საპარლამენტო მუშაობაში კანონების მიღებისას და პარტიული სიით არჩეული დეპუტატებისაგან განსხვავებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მოწყვეტილი არიან ამომრჩევლებისგან.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ამ ადამიანის წვლილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-მეტალურგების, პედაგოგების და საზოგადო მოღვაწეების რუსუდან ნიკოლაძის, გიორგი ნიკოლაძის, ნიკოლოზ ქაშაყაშვილის, ნიკოლოზ გომელაურის, სოლომონ შარაშენიძის, ფრედინანდ თაფაძის, ლეონიდ ოკლეის, არჩილ გულიაშვილის, ლეონიდ ხვიჩიას სახელების და სხვების უკვდავყოფაში. ეს ადამიანები იდგნენ საქართველოს ინდუსტრიალიზაციის, მისი ტექნიკური უმაღლესი განათლების კადრებით უზრუნველყოფის სათავეებთან და დიდი ამაგი დასდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მრეწველობის მრავალი დარგის განვითარებას.

გურამ ქაშაყაშვილის სამეცნიერო, კვლევითი და საგამომგონებლო მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობისას, შედარებით მოკლე პერიოდში სამეცნიერო შრომების რაოდენობა გაორმაგდა და დღეს 308 სამეცნიერო ნაშრომზე მეტის ავტორია. მონოგრაფიები, მრავალენოვანი ლექსიკონები და აღმოჩენების კანონზომიერების თეორიული საფუძვლები ტექნიკურ უნივერსიტეტშია შესრულებული. ეს აღმოჩენები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში რიგით მეექვსეა, მაგრამ ტექნიკური უნივერსიტეტისათ-

ვით უნდა, ტექნიკის დარგში კი მარტო ბატონ გურამ ქაშაყაშვილს აქვს 2009წ. – 390, 2011წ. – 446 და 2016წ. – 497 მეცნიერული აღმოჩენა მეცნიერ-გამომგონებლების და აღმოჩენების საერთაშორისო აკადემიის ექსპერტების მიერაა რეგისტრირებული, რომელთა შორის ლომონოსოვის უნივერსიტეტის და მენდელეევის ინსტიტუტის ნობელიანტი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ. ქართველი მეტალურგი მეცნიერი გურამ ქაშაყაშვილი სამი მეცნიერული აღმოჩენის და ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას ერთი ვერცხლის, ორი ოქროს მედლითა და სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვეს. ამ ლოგიკით გურამ ქაშაყაშვილი არა მხოლოდ ეროვნული ფენომენია, არამედ მსოფლიოს წარმატებულ იმ ადამიანთა შორისაა, ვინც თავისი ქვეყანა ცივილიზებული მსოფლიოს ხალხთა ცნობადობის დონეზე აიყვანა. მან ტექნიკურ უნივერსიტეტში საზოგადოებრივ საწყისებზე დააარსა უკრაინული ენის შემსწავლელი და ტექნიკური თარგმნის კათედრა და ენობრივ-საინფორმაციო ფონდი, რომელმაც საქართველოში და უკრაინაში პირველად გამოცა 120 ათასი მეტალურგიული ტერმინის ექსპენივანი (ქართულ-უკრაინულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგულ) ლექსიკონის 2000-გვერდიანი ორტომიანი.

მონაწილე ქვეყნების მეცნიერთა აზრი ცნობილია ჩვენი ნარკვევის გმირის მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ, საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრები ერთსულოვნად მქუხარე ოცავიებით შეხვდნენ აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი თამაზ გამყრელიძის მოსალაცხეობას, როდესაც მან პირველი მეცნიერული აღმოჩენის დიპლომი და ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას ვერცხლის მედლი ამოტვიფრული წარწერით – მეცნიერული აღმოჩენის ავტორის გადასცა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატს პროფესორ გურამ ქაშაყაშვილს.

მეცნიერებისთვის და ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის ყველაზე უფრო საგულისყუროა ჩვენი ქვეყნის ეროვნული აკადემიის მოქმედი პრეზიდენტის შეფასება ტენიკის მეცნიერებათა დოქტორებს შორის გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის გურამ ქაშაყაშვილის შესახებ. ამიტომ ჩვენს ნარკვევს ვამთავრებთ აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის სიტყვებით წარმოთქმულს გურამ ქაშაყაშვილის 85 წლის იუბილზე: „ამ შესანიშნავ საღამოს, რომელიც ძღვენება მეტად არაორდინარულ ადამიანს, რომელსაც ძალიან ბევრი



საქართველოს მესწიარებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ბ. კვესიტაძე, უკრაინელი აკადემიკოსები ს. ბრიჩენკო, ვ. შიროკოვი, ა. ბრინიოვი, ვ. ბაჟური მეტალიურთ ბ. ქაშაყაშვილთან

ვის, პირველი ისტორიული დიპლომა. ეს შრომები გურამ ქაშაყაშვილის რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მუშაობის პერიოდში წარმატებული მეცნიერული ექსპერიმენტების შედეგზეა დამყარებული. მან მსოფლიო მეტალურგიის ისტორიაში პირველმა განახორციელა ფოლადის დნობა ლითონის გამოსაშვები ხვრელიდან ბუნებრივი აირისა და ჰაერის ნარევის შებერვით, მეფოლადეთა მძიმე შრომის გარეშე მოახდინა ნადნობის გამოშვება, მსოფლიოს მკვლევარ-მეცნიერთა დღემდე შეუსწავლელი ახალი ნახშირბადის ალდგენის დანახშირბადების პროცესის აღმოჩენით.

მეცნიერული აღმოჩენებით, ჩვენი ქვეყანა მეზობლებთან შედარებით ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება. ზოგადად მე-20 საუკუნეში საქართველოში მხოლოდ ექიმების და ფიზიოლოგების 3 მეცნიერული აღმოჩენა რეგისტ-

რებულია, ბევრი უკეთებია ქვეყნისთვის, ხალხისთვის, მეცნიერებისთვის, აქვს კოლოსალური გამოცდილება ცხოვრებაში და წამდვილად იმსახურებს ძალიან დიდ პატივისცემას. უნდა ერთი რამ ვუთხრა ბატონ გურამს, რომ წარსული გვეკუთვნის ჩვენ, თითოეულ ჩვენგანს, ხოლო მომავალი თქვენ, ამიტომ დიდი სიყვარულით და პატივისცემით გისურვებთ დიდხანს ჯანმრთელ, შემოქმედებით ცხოვრებას, რომ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, მეცნიერები, როგორც თქვენ ბრძანდებით, რომლებიც სამაგალითონი არიან არა მარტო ქართველი, არამედ ნებისმიერი საზოგადოებისათვის, რაც შეიძლება დიდხანს ცოცხლობდნენ, იყვნენ შემოქმედნი და კაცობრიობისთვის ქმნიდნენ სიკეთეს. დარწმუნებული ვარ, ამას თქვენ ყოველთვის გააკეთებთ. განსაკუთრებით დიდი სიყვარულით და პატივისცემით გისურვებთ მომავალ შემოქმედებით წარმატებას.“

ლიანოსტისკური, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, რუსთავის საპატიო მოქალაქე;
თინათინ სიყმაშვილი, ჟურნალისტი, მწერალი, ნ. ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი, რუსთავის საპატიო მოქალაქე;
ბივი ჯახუა, ჟურნალისტი, მწერალი, რუსთავის საპატიო მოქალაქე.

აფხაზური პასპორტების აღიარების მოლოდინში...

რას ჰპირდებიან სოხუმს?!



ოპოზიციულ აფხაზეთის სამდღიანი ვიზიტით „არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაციის“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ. როგორც ვიზიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის ლობირების საკითხთა კოორდინატორმა ლუჩია პარუჩიმ განაცხადა, UNPO აფხაზეთის მცხოვრებთ „რესპუბლიკის ფართო საერთაშორისო აღიარებისა და მსოფლიოს მასშტაბით აფხაზური პასპორტით თავისუფლად გადაადგილების პრობლემების დაძლევაში“ დაეხმარება.

„არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაცია“ (UNPO - Unrepresented Nations and Peoples Organization) საერთაშორისო არასამთავრობო სტრუქტურაა, რომელიც მსხვილ საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, ეუთო და სხვა) წარმომადგენლობის არმქონე ხალხებს აერთიანებს, თავის ძირითად მიზნად კი „მცირე ერების თვითგამორკვევის უფლების რეალიზებასა და საერთაშორისო არენაზე მცირე აბორიგენი ხალხების უფლებების დაცვას“ ასახელებს. ორგანიზაცია 1991 წელს ჰააგაში დაფუძნდა, მისი შტაბბინა კი სადღესასწაულებში მოქმედებს.

აფხაზეთი ორგანიზაციაში 1991 წელს განწევრიანდა და სადღესასწაულებში მასში დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს სახითაა წარმოდგენილი.

მიმდინარე წლის მარტში UNPO-ს აქტიური მხარდაჭერით აფხაზური დე ფაქტო საგარეო უწყების წარმომადგენლებმა ევროპარლამენტში რიგი შეხვედრები გამართეს.

უფრო დეტალურად ოკუპირებულ აფხაზეთთან მიმართებაში UNPO-ს გეგმებზე პრესკონფერენციაზე ამ ორგანიზაციის პოლიტიკისა და კვლევების განყოფილების ხელმძღვანელმა ფერნანდო ბურხესმა ისაუბრა. მისი თქმით, ორგანიზაცია „აქტიურად დაეხმარება რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ აფხაზური პასპორტის მქონე ნაწილის გადაადგილების პრობლემის გადაჭრაში, დაინყებს ევროკავშირიდან და შეეცდება, დაარწმუნოს ყველა აქტიური, რომ ეს

აღამიანის უფლებების წარმოუდგენლად უხეში დარღვევაა, მოსახლეობის 30% (ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით ეს რაოდენობა არ ფლობს, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციით, სადღესასწაულებში რეგისტრაციის მოქალაქის პასპორტს და აქვს მხოლოდ აფხაზური ე.წ. პასპორტი) ვერ ახდენდეს საკუთარი საზღვრის უფლებების, კერძოდ თავისუფალი გადაადგილების უფლების რეალიზებას“.

„არსებობენ რიგი სხვა ნაწილობრივ აღიარებული ქვეყნები (მაგალითად, პალესტინა, კოსოვო და ჩრდილოეთ კვიპროსი), რომელთა შემთხვევაშიც გამოსავალი მოიძებნა: დაიდო ხელშეკრულებები მსოფლიოს ზოგიერთ სახელმწიფოსთან, რომლებიც ამ ქვეყნების მოქალაქეებს მათი ეროვნული პასპორტებით მოგზაურობის ნებას რთავენ. ამგვარად, არსებობს მსოფლიო პრაქტიკა ეროვნული პასპორტების აღიარებისა ამა თუ იმ ქვეყნის სუვერენიტეტის ფართო საერთაშორისო აღიარების გარეშე და ეს პრაქტიკა აფხაზეთზეც უნდა გადავრცელოთ“, - აღნიშნა ბურხესმა.

UNPO-ს წარმომადგენლები ოკუპირებულ რეგიონს დე ფაქტო ხელისუფლების მიწვევით ესტუმრნენ. ბოლო დღეების განმავლობაში მათ გამართეს რიგი შეხვედრები დე ფაქტო საგარეო საქმეთა და ტურიზმის სამინისტროებში, სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, შეხვედრები დე ფაქტო პრეზიდენტსა და პრემიერს. დე ფაქტო საგარეო პოლიტიკურ უწყებაში სტუმრებმა ასხალგაზრდა აფხაზი დიპლომატებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო ტრენინგები ჩაატარეს, რომელიც როგორც UNPO-ს, ისე მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობების ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს ეხებოდა.

სოხუმის ხელისუფლება ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაზე დიდ იმედს ამყარებს, კერძოდ - „ევროპაში დე რეალური ინფორმაციის მიწოდებას“ და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფის მიმართულებით.

„ვინაიდან აფხაზეთი საერთაშორისო სტრუქტურების წევრი არ გახლავთ, ჩვენი სხვა პრაქტიკულად არსად ისმის, ჩვენი პოზიცია ძალზე სუსტადაა წარმოდგენილი მსხვილ საერთაშორისო პლატფორმებზე. ამით აქტიურად სარგებლობენ ქართველი ოპონენტები, რომლებიც ამ სტრუქტურების ყველა სხდომაზე ცდილობენ არათუ ობიექტური, სწორად ცრუ ინფორმაციის გაუფრთხილებლად კი. მაგალითად, ქართული მხარე აქტიურად ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოების მასობრივ შეგნებაში ჩანერგოს აზრი, თითქოს აფხაზეთი ოკუპირებული ტერიტორიაა და არა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს აბსოლუტურად გამოგონილი, ცრუ ტერმინია და ამას აქტიურად უნდა ვებრძოდეთ. ეს ძალზე სერიოზული გამოწვევაა ჩვენი რესპუბლიკისთვის“ - განმარტავს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ტუფუა.

მისივე თქმით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება მუდმივ კონტაქტზეა UNPO-სთან და მისი დახმარებით 2019 წლის მარტში ევროპარლამენტში პირდაპირი კონტაქტების დამყარება მოახერხა ევროდეპუტატებთან, პოლიტიკურ მრჩეველებთან, სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისა და ჯგუფების წარმომადგენლებთან.

„ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ევროპარლამენტის დღის წესრიგს ქმნიან. ამდენად, მათთან პირდაპირი შეხვედრების შესაძლებლობა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. დიას, ევროპარლამენტარების დიდ ნაწილს ევროკავშირისთვის ტრადიციული პოზიცია აქვს, თუმცა არსებობს აქტიური უმცირესობაც, რომელთაც შესაძლებელია მუშაობა ჩვენი იდეების ლობირების მიმართულებით. ამ მხრივ UNPO-ზე დიდ იმედს ვამყარებთ: მისი შტაბბინა ხომ ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქში - ბრიუსელში მდებარეობს, სადაც პრაქტიკულად ყველა ძირითადი

პოლიტიკური სტრუქტურა და მამოძრავებელი ძალაა წარმოდგენილი. მარტის ვიზიტი ბრიუსელში იმედს გვცხადებს, რომ UNPO-სთან თანამშრომლობით სამომავლოდ კარგ შედეგებს მივაღწევთ“ - ამბობს ტუფუა.

მისივე თქმით, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომლის წამოწვევასაც სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლება ევროპელებთან ურთიერთობისას ცდილობს, სწორედ გადაადგილების თავისუფლებას ეხება: „ჩვენი აზრით, აუცილებელია, პრობლემის გადასაჭრელად პროცესებში ჩაერთოთ ევროპული საზოგადოება და საერთაშორისო სტრუქტურები (გაერო, ეუთო და სხვა). ვთვლით, რომ უპირველესად, სწორედ ევროპულმა საზოგადოებრიობამ უნდა შექმნას პირობები აფხაზური ეროვნული პასპორტებით მოგზაურობის დასაშვებად. მსგავსი პრაქტიკა ხომ თავად ევროპის შიგნით არსებობს, მაგალითად, გვაქვს კოსოვოს პრეცედენტი: ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა სლოვაკეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, კოსოვოს სუვერენიტეტს არ სცნობენ, თუმცა კოსოვოს ეროვნულ პასპორტებში ვიზებს უპრობლემოდ არტყამენ და ამ გზით ცდილობენ იმ ჰუმანიტარული პრობლემის გადაჭრას, რომელიც გადაადგილების თავისუფლებას უკავშირდება. ჩვენ ვითხოვთ, რომ აფხაზეთის მოქალაქეების მიმართაც ანალოგიური გადაწყვეტილება იქნას მიღებული. მშვენივრად გვესმის, რომ ეს ჰუმანიტარული პრობლემა პოლიტიკურ ასპექტებსაც მოიცავს, რის გამოც სწრაფ შედეგებს არ უნდა ველოდეთ. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ევროპული საზოგადოებრიობა მართლაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და აფხაზეთის მოქალაქეებსაც უახლოეს პერსპექტივაში მიაჩნებს შესაძლებლებს, გადაადგილების თავისუფლების რეალიზება მოახდინონ“.

რუსეთის კანონები რეპრესიების სამსახურში

რუსეთში 230-ს გადაჭარბა პოლიტიკური რისკების რიცხვმა, რასაც თან სდევს სულ უფრო მეტი კანონის მიღება „ყოველდღიური ცხოვრების ქმედებათა კრიმინალიზაციის“ მიზნით. ამის შესახებ ნათქვამია ანგარიშში სახელწოდებით „კრემლის პოლიტიკატიმრები: მოწინააღმდეგეთა დევნა პოლიტიკური გეგმის შესასრულებლად“.



ტივისტები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ლგბტ თემი. რუსეთში მოქმედებს კანონები, რომლებიც ხელისუფლებას აძლევს ნებისმიერი ადამიანის დაკავებისა და დაპატიმრების შესაძლებლობას, აღნიშნავენ ანგარიშის ავტორები.

რუსეთის შეიქცა და ისრაელი
ანგარიშში ჩამოთვლილია

გრძნობების შეურაცხყოფა;
● მცირე ნაკადებში „არატრადიციული“ სექსუალური ურთიერთობის პროპაგირება;

● საჯარო მონოდება რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ;

● მეორე მსოფლიო ომის დროს სსრკ-ს ქმედებათა შესახებ არასწორი ინფორმაციის განზრახ გავრცელება;

● რუსეთის სამხედრო დიდების სიმბოლოთა საჯაროდ შეურაცხყოფა და სხვ.

ანგარიშში ყურადღება მახვილდება ორ კანონზე. 2012 წელს მიღებული კანონი რუსეთის ორგანიზაციებს ავალებს „უცხოეთის აგენტებად“ დარეგისტრირებას იუსტიციის სამინისტროში, თუ უცხოეთიდან აქვთ მიღებული დაფინანსება და ჩართული არიან „პოლიტიკურ საქმიანობაში“.


2015 წელს კი მიიღეს კანონი, რომელიც გენერალურ პროკურატურას ანიჭებს უფლებამოსილებას ორგანიზაცია

„არასასურველად“ გამოაცხადოს და აკრძალოს მისი საქმიანობა, თუ ჩათვლის, რომ ის საფრთხეს უქმნის „რუსეთის თავდაცვის, უსაფრთხოებისა და კონსტიტუციურ სისტემას“.

დღეს რუსეთში ყველაზე „სტაჟიანი“ პოლიტიკატიმრად მიჩნეულია ალექსეი პოპოვი, რომელიც 2003 წელს დააკავეს და მკვლელობის ბრალდებით გაასამართლეს. უფლებადამცველები მკაცრად აკრიტიკებენ ამ სასამართლო პროცესს. პოპოვი ხელმძღვანელობდა რუსეთში ერთ დროს უმდიდრესი ადამიანის მიხაილ ხოდორკოვსკის კომპანია „იუკოსის“ უშიშროების სამსახურს.

უკრაინელ რეჟისორ ოლეგ სენცოვს 20-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი ტერაქტების მზადებაში დამნაშავედ ცნობის საფუძველზე. მისი მხარდამჭერები ბრალდებულს „აბსურდულს“ და „პოლიტიკურად მოტივირებულს“ უწოდებენ.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE



ჯარი შუა საუკუნეების საქართველოში

ბრძოლაში წინა საუკუნეებში ისეთი არ იყო, როგორც შეიძლება წარმოგვედგინოს. სტერეოტიპების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ფილმებს, რომლებიც ხშირად რეალობას არ ემთხვევა. იბრძოდა არა ყველა, არამედ არისტოკრატია, ბრძოლა კი ცოტა ხანს გრძელდებოდა.

გამოთქმა „ქუღზე კაცი“, რასაც ყველა მამაკაცის ომში წასვლა უნდა მოჰყოლოდა, ყოველთვის არ იყო აქტუალური. ქვეყანას ძირითადად თავადაზნაურობა იცავდა. ეს იყო მისი მოვალეობა გლეხის მიმართ.

„შუა საუკუნეების დროს ჩვენი კოზირი მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი მხედრობაა. ამას უცხოური წყაროებიც აღნიშნავენ და ქართულიც... თან, ერთი კაცის აღჭურვილობა 40-44

ძროხის ფასი ღირდა, რისი საშუალებაც გლეხს არ გააჩნდა“, - ამბობს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ისტორიკოსი მამუკა წურნუშია.

ისტორიკოსი ნიკა ხოფერია კი ამბობს, რომ შუა საუკუნეებში არც ერთ სახელმწიფოში არ ჰყავდათ მუდმივი ჯარი, მაგრამ იყვნენ მცირერიცხოვანი (1000-3000 კაცი) გვარდიული ნაწილები, ტაძრეულები.

ისინი ჰყავდა როგორც მეფეს, ასევე დიდ ფეოდალებს. როცა არ უნდა შემოსულიყო მტერი, ეს ნაწილები უცებ იკრიბებოდნენ და უპირისპირდებოდნენ მომხდურთ. ომის დროსაც მთავარი დატვირთვა მათზე მოდიოდა. გვარდიელები, როგორც წესი, არაქართველები იყვნენ, მონა სპეები, რაც მაშინ, დაახლოებით, იგივე იყო, რაც დაქირავებული მეომარი.

ქრთსათიანი ომები

„მე-5-დან მე-9 საუკუნემდე ყველა მამაკაცი გადიოდა საბრძოლველად. ქართულში ჯარი და ხალხი ხშირად ერთი სიტყვით მოიხსენიებოდა. მაგრამ შემდეგ, როცა ფეოდალური სისტემა ჩამოყალიბდა, ბრძოლის მოვალეობა მათ აიღეს. გლეხები იმ შემთხვევაში გამოდიოდნენ, თუ ალყა იყო საჭირო ან ციხესიმაგრის დაცვა. მაშინ ჯარის რაოდენობა მცირერიცხოვანი იყო, 10-30 ათასი კაცი“, - ამბობს ისტორიკოსი ნიკა ხოფერია.

ასევე ხანმოკლე იყო ბრძოლებიც. მამუკა წურნუშიას თქმით, საშუალოდ ერთი საათი, მაქსიმუმ - სამი. მძიმედ შეჭურვილი მხედრობა ამ დროის მერე, უბ-

ომში წასვლა მას უხარის...

რალოდ, იღებოდა.

რაც შეეხება მთის მოსახლეობას, სადაც ფეოდალური სისტემა არ მოქმედებდა, ნიკა ხოფერია ამბობს, რომ ომში ყველა მიდიოდა და ძირითადად ქვეითი ჯარის სახით. ეს მრავალრიცხოვანი ჯარი ხშირად ხდებოდა მეფეთა დასაყრდენი.


გლეხის აღჭურვილობა რადიკალურად განსხვავდებოდა ფეოდალის აღჭურვილობისგან. თუ აზნაური მთლიანად რკინაში იჯდა, გლეხს ლითონის

შეიძლება მხოლოდ შუბი ჰქონოდა, უფრო სწორად, ხის ტარზე დამაგრებული შუბისწვერი. ჰქონდა, ასევე, თექის მუზარადი და მოსასხამი. ცალკე ამბავი იყო ცხენის შოვნა.

ომში ფანით წასვლის აზრები

„დიდებული ომში რომ წასულიყო, მინიმუმ სამი ცხენი სჭირდებოდა“, - ამბობს მამუკა წურნუშია. ერთი სამგზავრო ცხენი იყო, მეორე - ბარგისთვის, მესამე - საბრძოლო. გლეხები კი არცთუ იშვიათად ფეხით მიდიოდნენ.

„არის ერეკლე მეფის ბრძანება: გლეხებმა იციან ხშირად, ომში წასვლები ცხენებს სახლში ტოვებენ, და ყურადღება მიაქციეთ, გლეხი ცხენით მივიდეს ომში. ცხენი არა მარტო საბრძოლოდ იყო საჭირო, არამედ წაგებულ ომში უკან გამოსაქცევადაც. მაგრამ გლეხი თავის სიცოცხლეს აგდებდა ხიფათში, ოღონდ ცხენი (სამეურნეო ძალა) გადაერჩინა და სახლში დაეტოვებინა“, - ამბობს მამუკა წურნუშია.



აბჯარი ცხენისთვის

შეჯავშნილი ცხენი თითქოს მხოლოდ ევროპისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ირკვევა, რომ აბჯარს ცხენისთვის ქართველებიც აკეთებდნენ. მეტიც, ერთი ბრძოლა სწორედ იმის გამო წააგეს, რომ შეჯავშნილი ცხენები მალე დაიღალნენ. მამუკა წურნუშია თავის წიგნში „საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები“ წერს: მართალია, ცხენის ჯავშანი არ შემონახულა და არც გამოსახულებებზე ჩანს, მაგრამ მას ვხვდებით ისტორიულ ტექსტებში:

„ცხენ თოროსანს“ ჯერ კიდევ ჯუანშერი ახსენებს ვახტანგ გორგასლის მხედრობის აღწერისას. უკვე ათი საუკუნის შემდეგ „ცხენი თოროსანი“ უჩუქებიათ ცხრაზმისხვევის ერისთავისთვის. საცხენე ჯავშანი დაცული იყო სახელმწიფო ზარდახშაში. მე-11 საუკუნის ბიზანტიელი ავტორი მიხეილ ატალიატე წერს: „ქართველთა სიმამაცეს არა მხოლოდ სიმრავლე განაპირობებდა, არამედ ისიც, რომ უმძლავრესი აბჯრით იყვნენ დაცული და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ შეჯავშნილ და მოუწყლად ცხენებსაც ყოველ მხრიდან (აბჯრით) ფარავდნენ“.

აბჯარი ცხენს იცავდა, თუმცა ის ძალზე მძიმე იყო. ამასთან, როგორც ცხენს, ასევე მხედარს უჭირდა აბჯარში

გაძლება. რკინა, მით უფრო სიცხეში, სხეულს ცოცხლად ხარშავდა. მამუკა წურნუშია ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ სიტყვა „თორნი“ ორი დატვირთვითაა (როგორც ქართულად, ასევე სხვა ენებზეც): თორნი - ჯავშანი და თორნი - ღუმელი.

გარდა რკინისა, არსებობდა ტყავისა და ქსოვილის აბჯრებიც. იყო ლითონის საშუბლე, რომელიც ცხენს თავზე უკეთდებოდა, და კისრის ჯავშანი, რომელიც ცხენს ზემოდან დარტყმული ხმლისგან იცავდა. ამგვარ აბჯარს ნიკორწმინდის რელიეფებსა და ადიშის ხატებზე ვხვდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებშიც, ისევე როგორც დღეს, ძალიან მჭიდრო კავშირი იყო მეომრის აღჭურვილობასა და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შორის. კარგი აღჭურვილობა, როგორც წესი, დაცულობას ნიშნავს. შესაბამისად, რამდენადაც კარგი იყო აღჭურვილობა, იმდენად დაცულად და მხნედ გრძნობდა თავს მეომარი, რაც ზრდიდა შანსს, რომ ბრძოლა გამარჯვებით დასრულდებოდა.

თბა თოფური

გაიფიქრებოდა მისი მოსალოდნელია - 2-5, 8-13, 16, 18-23, 26, 27, 30 და 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის ალბათობის რისკის ზრდა, სოციალური დაძაბულობისა და სეისმოაქტივობის მატება.

2 - მთვარის ვენერასთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა გაციება, თავის ტკივილები, თირკმლებთან დაკავშირებული პრობლემები და უძილობა.

3 - მთვარის მერკურთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. შეიძლება შეგანუხოთ უძილობამ, ასევე ნერვიულობით გამოწვეულმა თავის ტკივილებმა.

აქტიური პროგნოზები მაისში

4 - მთვარის ურანთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. შესაძლოა, ფილტვებისა და ბრონქების დაავადებების წარმოშობა. მოერიდეთ გაციებასა და ყელის ძარღვების დაძაბვას.

5 - ახალმთვარეობა ვერძის თანავარსკვლავედში. ფიზიკური და სულიერი ძალების უკიდურესი დასუსტების დღე. სავარაუდოა, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, შრომისუნარიანობის დაქვეითება.


8 - მთვარისა და მარსის შეერთება ტყუშების თანავარსკვლავედში. საფრთხილოა ფილტვებისა და ბრონქების გაციება.

12 - მთვარის პირველი მეოთხედი ლომის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, გარშემოცხეობა, გარშემოცხეობა და სხვა.

19 - სავსემთვარეობა მორიელის თანავარსკვლავედში. კვლავ გრძელდება ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, მოსალოდნელია არტერიული წნევის მომატება, ძლიერდება ანთებითი პროცესები.

20 - მთვარის იუპიტერთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. გამოირიცხული არ არის მუხლებისა და თქობების, სახსრების ტკივილები, საჯდომი ნერვის ანთება.

23 - მთვარის სატურნთან და



თაობა

ასე იწვითობა ლუკა...

რბ გამოლევს გურამ კოსტავას, ნუგზარ ასათიანისა და ვლადიმერ აფციაურის სამშობლოში ტალანტი მუშეკეტერებს.

დღეს პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ თურქულ ანტალიაში 115 თანატოლის მონაწილეობით გამართული 14-წლამდე დაშინთ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ლუკა კაჭარავა, რომელმაც სტარტზე აზერბაიჯანელი ზაკირ ასადულაევის ძლევის შემდეგ ჯგუფში, პლეი-ოფებში და ფინალში ზედიზედ დაამარცხა



მასპინძელი მეტოქეები და პირველი ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, ამ ნიჭიერმა მოზარდმა რამდენიმე კვირის წინათ ბარსელონაში მოპოვებული წარმატებითაც გაგვახარა, სადაც კადეტთა „ტროფეუსანტი ჟორდი“ მოიგო.

კობა კოპანიძე

სუბო

ზოგი აღის, ზოგიც — ჩაღის

როგორც მოსალოდნელი იყო, უკანასკნელ პერიოდში ტრავმებით გამოწვეული კრიზისის გამო სუმოს ასოციაციამ ახლახან გამოქვეყნებულ რეიტინგ-ლისტში (ბანძუკე) ტორინოშინი (ლევან გორგაძე) ოქცობიდან დააქვეითა და იერარქიის მესამე საფეხური — დასავლეთის სეიფაკეს წოდება მიანიჭა.

თუმცა, ჩვენს ღირსეულ თანამემამულეს მალევე მიეცემა, ვიმედოვნებთ, დროებით დათმობილ პოზიციებზე დაბრუნების შანსი. საამისოდ მან 12-26 მაისს გასამართავ ტოკიოს ნაცუ ბაშოზე 15-დან მინიმუმ 10 ორთაბრძოლა მაინც უნდა მოიგოს.


რაც შეეხება გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი), იგი ჯურის დივიზიონში დანინაურდა და ამჟამად აღმოსავლეთის მე-7 ნომერია.

მანუჩარ გიორგაძე



ნიკოლოზ დერიუზინი — 60

მარადიული საბაღლობელი




ნიკოლოზ დერიუზინი ჩვენი თაობის საკალათბურთო კერძი იყო და ასეთად დარჩება მუდამ.

ქუთაისელმა ჭაბუკმა, ვისაც ლევან მოსეშვილის ეპოქის თბილისის „დინამოში“ თვით ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია და გივი ბიჭიაშვილი დახვდნენ, მალევე მოიგო გულშემატკივართა გული, რაშიც განსაკუთრებით მოსკოვში ლამის უძღვევლ ცსკა-სთან მოგროვებული 57(!) ქულა დაეხმარა. არმიელთა ვარსკვლავების — მიშკინის,

კოვალენკოსა და ლოპატოვის ფაქტორის გათვალისწინებით, ეს მართლაც ფანტასტიკური პირადი სადებიუტო მონაგარი გახლდათ.

რიონის ნაპირებზე სწორუბოვარი სულიკო თორთლაძის ქურაში გამოწრთობილი ტალანტისათვის არ არსებობდა უზერხული მეტოქე — იგი ჩვეული ოსტატობით უსწორდებოდა მასზე გაცილებით ტანმაღალ მეურვეებს — ტკაჩენკოს, ბელოსტენის, საბონის, ჟიგლიის, ერთმანეთის მიყოლებით აიძულებოდა მათ 5 პერსონალური შენიშვნის გამო დაეტოვებინათ სარბიელი და ამას საოცარი ელეგანტურობით აკეთებდა.

ვეროპის ჩემპიონისა და მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელისთვის საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცა შორეულ კოლუმბიაში 1982



წელს საკავშირო ნაკრებისთვის შექმნილი ძვირფასი 8 ქულა, რასაც ლოგიკურად უკავშირდება ამერიკელებთან ფინალში მოპოვებული მართლაც ისტორიული გამარჯვება — 95:94.

ტიტულები ტიტულებად, მაგრამ ჩვენთვის სამაგალითოა ორი საუკუნის ღირსეული შვილის მამულიერი დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომელსაც საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევს და სიამაყით აცხადებს — სხვაგან ცხოვრებაზე არც მიფიქრიაო. აკი, კოლიას ოჯახში იმერეთიდან მტკიცე უარით გაისტუმრა რუსეთში მისი გადაბარგების წინადადებით საგანგებოდ ჩასული ქვეყნის ნაკრების გამოჩენილი თავკაცი ალექსანდრ გომელსკი.

არანაკლებ სიმბოლურად გვესახება დერიუზინის კაპიტნობა დამოუკიდებელი ეროვნული ნაკრების პირველ საერთაშორისო შეხვედრებში. მან ხომ მძიმე ტრავმის გამო სრულიად ახალგაზრდამ — 26 წლისამ დაასრულა კარიერა (როგორც აღმოჩნდა — დროებით) და პარაკეტს 6-წლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

ამ დღეებში ქართული კალათბურთის ცოცხალ ლეგენდას 60 წელი შეუსრულდა. სახელოვან იუბილეს ვულოცავთ ჩვენს გამორჩეულ თანამედროვეს.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩემპიონთა ლიგა

როსა ახალგაზრდობა იმარჯვებს



ბედნიერია ამსტერდამის „აიაქსის“ ქომაგი, რომელიც საყვარელი კლუბის ფერითი თამაშით ტყებდა. საკითხავი მხოლოდ ისაა — გვექნება კი მომავალ სეზონში შოლანდიური გრანდის დადგმული სპექტაკლებით ნებივრობის საშუალება — ბევრს ხომ უკვე დაადგეს თვალი ბობოლათა სკაუტებმა.

ვიდრე ეს არ მომხდარა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ახალგაზრდულმა გუნდმა ღირსეულად უერთგულა სწორუბოვარ წინაპართა ტრადიციებს და ცალი ფეხით უკვე ფინალში შეაბიჯა. ასე რომ, ჩვენ ახალ „მფრინავ ჰოლანდიელთა“ თაობის დაბადების მოწმენი ვართ.

„ტოტენჰემი“ — „აიაქსი“ 0:1

გოლი: ვან დე ბეეკი.

ტრავმირებული კეინისა და დისკვალიფიცირებული სონის არყოფნაში მასპინძლები ისედაც განწირულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ, ხომ გსმენიათ — გაჭირვებულს კვა აღმართში მიენიარა — სწორედ ასეთი სიგნალი გახდა სარბიელიდან „მამლების“ დაცვის ბურჯ ვერტონგენის გაყვანა, რომელიც საპაეროდუელის დროს თანამემამულე ანდერვეიერელთან შეჯახების შემდეგ პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს.

უთანასწორო ბრძოლის ინტრიგა ამის შემდეგ საბოლოოდ დასამარდა, ასე რომ, კითხვა — ხომ არ გადაიტყვევა 8 მაისისათვის „იოჰან კრუიფის“ სტადიონზე დანიშნული საპასუხო რაუნდი ფორმალბად — კიდევ უფრო საფუძვლიანი გახდა.

გიორგი შოთაძე

ვულოცავთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები 70 წლის იუბილეს ვულოცავთ ფეხბურთში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, სპორტის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, მრავალი მეთოდური სახელმძღვანელოს, სტატიისა და რეკომენდაციის ავტორს

თამაზ ჯაშ

ბათუმს სამი სათაგბჯენი ღააგუვენებს თუ...

მკვლავი მაღალი შენობა 50-სართულიანი იქნება, დანარჩენი ორი კი – 45-სართულიანი. ქალაქის თვითმმართველობამ, ბათუმელების არცთუ მცირე ნაწილის პროტესტის მიუხედავად, კომპანია „ალიანს სიტის“ მის საკუთრებაში არსებული 18 000 კვ/მეტრ მიწის ნაკვეთზე ამ მასშტაბის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმა დაუმტკიცა, მომდევნო ეტაპი კი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და სამშენებლო ნებართვის გაცემაა. „ალიანს სიტი“ აპირებს, დაანგრავს ამ ტერიტორიაზე უკვე არსებული 8-სართულიანი შენობა, რომელიც მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის ოჯახის სამშენებლო კომპანიამ ასლან აბაშიძის მმართველობის დროს ააშენა. რუსთაველის ქუჩაზე არსებულ ამ სახლში დღემდე არავის უცხოვრობს. წლების შემდეგ მისი მესაკუთრე კომპანია „ბათუმი სიტი“ გახდა, რომლის 100 % წილს 2011 წლის შემდეგ „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ ფლობს.

მას შემდეგ, რაც ბათუმელებმა გაიგეს, რომ ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, ზღვის სანაპიროზე, სამი ცათამბჯენის მშენებლობის საკითხი განიხილებოდა, მათი ნაწილი სოციალურ ქსელში პროტესტს გამოხატავდა. აქტივისტები საპროტესტო პერფორმანსებს აწყობდნენ სამთავრობო ღონისძიებებზე, მოეწყო საპროტესტო აქცია „არ ჩაგვავებტონოთ“ და სხვა. აქტივისტი ირმა ზოიძე ამბობს, რომ ბათუმელების ნაწილი ქალაქის განვითარების სახელით გენგეგმის გარეშე მიმდინარე ქოსურ მშენებლობებს აპროტესტებს, რადგან ბევრმა საკუთარ თავზე იგრძნო საცხოვრებელი გარემოს გაუარესება:

„ქალაქში ტემპერატურამ მოიმატა. ჰაერი ისედაც დაბინძურებულია, ეს კვლევითაც დადასტურებულია და ამ პირობებში, როცა ქალაქი არ ნიავედება, არ არსებობს ჰაერის საშუალება (ზღვისა და მთის ჰაერის მონაცვლეობა), ზღვის სანაპირო კი მრავალსართულიანი განაშენიანებით იკვდება, ბუნებრივია, რომ იმატებს დაავადებათა სტატისტიკა. აჭარაში პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დაავადება და მათ შორის ონკოლოგიური დაავადებები. შედეგად, აქ ადამიანებს აქვთ განცდა, რომ ისინი იგნორირებული არიან, მათ ავიწროებენ და მათი ჯანმრთელობის ხარჯზე ვიღაცა დიდი ფულს აკეთებს.“

შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმით ერთი 50-სართულიანი და ორი 45-სართულიანი შენობების სიმაღლე. კვ კოეფიციენტი გაიზარდა 15.0-მდე, ხოლო საცხოვრებელი ზონა შეიცვალა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით.

მიუხედავად ბათუმელების წინააღმდეგობისა, ბათუმის საკრებულომ კომპანიას მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმა გასულ კვირას ხმათა უმრავლესობით დაუმტკიცა.

ამავე კომპანიის მოთხოვნით, ტერიტორიას სტატუსიც შეეცვალა – საცხოვრებელი ზონა საზოგადოებრივ-საქმიან ზონად გადაკეთდა. ბათუმის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსმა მირიან მეტრეველმა განაცხადა, რომ კომპანია გეგმავს სასტუმროს, სასტუმრო-აპარტამენტების, საცურაო აუზების, საოფისე ფართებისა და მაღაზიების, ასევე ტურისტული და სპორტული ობიექტების დაპროექტებას. მისივე თქმით, საერთო ჯამში, 250 მილი-

ონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ სამი ცათამბჯენის არქიტექტურული პროექტი და მაკეტი ჯერ არ არსებობს, საკრებულოს 19 წევრიდან, რომელმაც საკითხს მხარი დაუჭირა, ერთ-ერთმა განაცხადა, რომ ვიზუალურად მოეწონა „ალიანს სიტის“ პროექტი. ირაკლი პატარიძემ, რომელიც ბათუმის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარეა, სწორედ ასე დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება: „ძალიან კარგი პროექტია. კეთდება სამგანყოფილებიანი 50-სართულიანი კორპუსი და მინდა გითხრა, რომ შესახებ ვარაუდები და ლამაზი. ლუჟკოვის შენობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე დგას, არის უფუნქციო.“

ლუჟკოვის სახლის ადგილას მრავალსართულიანი განაშენიანებას მხარი არ დაუჭირა საკრებულოს ორმა დეპუტატმა ფრანცისკა „ნაციონალური მოძრაობიდან“. ერთ-ერთი მიზეზად ქამადაძეა, რომელიც ამბობს, რომ მისთვის მიუღებელია ბათუმის ზღვის სანაპიროს პირველ ზოლში აშენდეს ცათამბჯენები, რომლებიც მომავალში აპარტოიდები იქნება, რადგან, მისივე თქმით, ამით იგებს ერთი ინვესტორი და აგებს ქალაქი...

ე. ნ. ლუჟკოვის სახლის მიწის ნაკვეთს, ასევე მიმდებარე ტერიტორიას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსი 2013 წლამდეც ჰქონდა, თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მაშინდელი მონვევის საკრებულომ სტატუსი შეუცვალა და აქ საცხოვრებელი ზონა დაადგინა. ქალაქის თვითმმართველობა მაშინ დაეყრდნო სპეციალისტების კვლევას, რომლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული დასახლება ბათუმში ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო დასახლებაა და მრავალსართულიანი განაშენიანების გაგრძელება იქ არ შეიძლება.

რაღა „თავისუფლება“

ბოლო წლების მონაცემებით, მსოფლიოში 23 მილიონი გოგო ვერ დაიბადა და ამის მიზეზი კი ის არის, რომ მშობლებს მამრობითი სქესის ბავშვი სურდათ. ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერთა ეროვნული აკადემიის კვლევის შედეგი.

დაუბადებელ გოგონათა უმეტესობა ჩინეთსა და ინდოეთში მოდის, თუმცა სელექციური აბორტების მაღალი მაჩვენებელი სხვა ქვეყნებშიც გამოვლინდა, 11 ქვეყანას შორის საქართველოც არის. თუმცა კვლევის შედეგებში ისიც არის მითითებული, რომ საქართველოში თანაფარდობა გამოსწორდა და დღეს 100 ახალ დაბადებულ გოგონაზე 107 ბიჭი მოდის. დადებით ცვლილებებს ადასტურებენ გაეროს მოსახლეობის საქართველოს ოფისშიც, თუმცა ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე მიუთითებენ.

სამ რეგიონში სქესთა შორის გადახრა კვლავ მაღალია. ეს რეგიონებია კახეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. საქართველოს ეთნიკური უმცირესობის მოსახლეობაში, აზერბაიჯანელებსა და სომხურ მოსახლეობაში კვლავ მაღალია სქესთა შორის გადახრის მაჩვენებელი. მესამე შვილის შემთხვევაში განსაკუთრებით ამ შემთხვევაში, როდესაც პირველი ორი შვილი გოგოა, სქესთა შორის გადახრა აღწევს 170-ზე მაღლა, – განაცხადა ლელა ბაქრაძემ, გაე-

როს მოსახლეობის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა. გაეროს მონაცემებით, საქართველოში 1990-2015 წლებში ბიჭის ყოლის სურვილის გამო 31 446 გოგო არ დაიბადა. დღეს ტენდენცია კლებადია.

გვინდა, რომ სელექციური მიდგომა ქვეყანაში საერთოდ არ იყოს. ჯანდაცვის სამინისტრომ თავისი პოზიცია მინისტრის ბრძანებაში აბორტების შესახებ გამოხატა და თქვა, რომ დაუშვებელია სელექცია სქესის შერჩევის ნიშნით, – განაცხადა ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა მარინა დარახველიძემ. როგორც მედიკოსები ამბობენ, დღეს უკვე შემცირებულია იმ მშობელთა რიცხვი, რომლებიც უპირატესობას მამრობითი სქესის ბავშვს ანიჭებენ. სამშობიარო სახლებში ექოსკოპისტები ცდილობენ, რომ 12 კვირამდე ბავშვის სქესი არ გაამხილონ.



ბიჭი სომ კარგია, გოგონა – კიდევ უკეთესი!

რა ვითარებაა საქართველოში სელექციური აბორტის მხრივ

როს მოსახლეობის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა. გაეროს მონაცემებით, საქართველოში 1990-2015 წლებში ბიჭის ყოლის სურვილის გამო 31 446 გოგო არ დაიბადა. დღეს ტენდენცია კლებადია. გვინდა, რომ სელექციური მიდგომა ქვეყანაში საერთოდ არ იყოს. ჯანდაცვის სამინისტრომ თავისი პოზიცია მინისტრის ბრძანებაში აბორტების შესახებ გამოხატა და თქვა, რომ დაუშვებელია სელექცია სქესის შერჩევის ნიშნით, – განაცხადა ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა მარინა დარახველიძემ. როგორც მედიკოსები ამბობენ, დღეს უკვე შემცირებულია იმ მშობელთა რიცხვი, რომლებიც უპირატესობას მამრობითი სქესის ბავშვს ანიჭებენ. სამშობიარო სახლებში ექოსკოპისტები ცდილობენ, რომ 12 კვირამდე ბავშვის სქესი არ გაამხილონ.

10 მცირეწლოვანის ტრეფიკინგში ბრალდებული იულია სუსლიაკის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფი ქალის დაკითხვის ოქმსა და სასამართლოსთვის წარდგენილ დოკუმენტებს ასაჯაროებს.

დაკითხვის ოქმში იულია სუსლიაკი აღნიშნავს, რომ ათივე შვილი მისია, რომელთაგან ექვსი სუროგატის გზით გააჩინეს.

„მეცემ მუდღე იური სუსლიაკი, რომელიც გავიცანი 2000 წელს საზეიმო ვითარებაში, კერძოდ, იყო იურის მამის ვლადიმერის წიგნის პრეზენტაცია და სწორედ იქ მოხდა ჩვენი გაცნობა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვიყავი სტუდენტი. კონკრეტულად საქმიანობას რაც შეეხება, საცალო ბიზნესით ვიყავით დაკავებული, ამის შემდეგ 2006 წელს უკვე დავუფლეთ მშენებლობის ბიზნესს უკრაინაში, ხოლო 2008 წელს შეგვექმნა გარკვეული პრობლემები სუსლიაკ ბიზნესში, ქვეყანაში არსებული პრობლემების გამო. ამის შემდეგ უკვე დაუბრუნდით ისევ საცალო გაყიდვების ბიზნესს 2013 წლამდე და საკმაოდ წარმატებულად ვსაქმიანობდით კიდევ. ხოლო 2013 წლიდან 2016 წლამდე ისევ სამშენებლო ბიზნესს დავუბრუნდით.“

მოგახსენებთ, რომ იურისთან ვიმყოფები ქორწინებაში 2002 წლიდან, რაც არის პირველი ქორწინება ჩემთვის და იურისთვისაც. ჩემი ქალიშვილობის გვარი იყო ტროიკინი და სწორედ 2015 წლიდან გადავედი მეუღლის გვარზე – სუსლიაკზე.

ბინდ ღაიჯერკო, ბინდ - პრა!

აჰ, იულია, იულია!

მოგახსენებთ, რომ მე და იურის გვყავს 10 შვილი, რომლებიც არიან: ანასტასია, არისტარხი, სოფია, იანი, ავრორა, ვეტა, იულია, ნამასტე, ემილი და გრეისი, რომელთაგან ცხრა ბავშვი არის უკრაინის მოქალაქე, ხოლო გრეისი არის აშშ-ის მოქალაქე. ასევე, სხვებზე უფრო მეტი ვიცი, რომელიც მე ვიმშობიარე არიან, რომელიც მე ვიმშობიარე არიან: ანასტასია, არისტარხი, სოფია და გრეისი. მოგახსენებთ, რომ ანასტასია, არისტარხი და სოფია გაგაჩინა უკრაინაში ქალაქ ხმელისკუში პირველ სამშობიაროში, მშობიარობას ესწრებოდა ექიმი და ასევე სამივე ბავშვის იური სუსლიაკი, ხოლო, რაც შეეხება გრეისს, რომელიც გაგაჩინა აშშ-ში და რომლის მშობიარობას ასევე ესწრებოდა ჩემი ქმარი იური სუსლიაკი, მოგახსენებთ, 2018 წლის აგვისტოში ჩავედი აშშ-ში, სადაც ვიმშობიარე კიდევ. 2016 წელს ექიმმა როგორც გვითხრა ჩემი მშობიარობა იქნებოდა დიდი რისკი და სწორედ ამიტომაც ჩავერთე ეკო პროგრამაში, ვინაიდან ჩემი კვერცხუჯრედი იყო გამოუსადეგარი, ამიტომაც გამოვიყენე 6 დონორი გოგო, 6 სუროგატი და მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მეუღლის ბიოლოგიური მასალა. რაც შეეხება უშუალოდ ეკო პროგრამას, მის შესახებ

გავიგე რეკლამებით, რომელიც მდებარეობს კიევში პირველ სამშობიაროში, სადაც გაჩნდა იულია, ხოლო დანარჩენი სული ბავშვი გაჩნდა კიევის მეტოე სამშობიაროში. რაც შეეხება ბავშვების დაბადების პროცესს, ავრორას, იანას და იეტას დაბადებას ვესწრებოდა თავად, მაგ დროს ჩემი ქმარი იყო რუსეთში. იულიას დაბადების პროცესს ესწრებოდა ჩემი მიერ მინდობილი პიროვნება, რა დროსაც მე და იური ვიმყოფებოდით კონგოში. ასევე ზუსტად ვერ ვისხენებ ნამასტეს დაბადების დროს, თუ სად ვიმყოფებოდი.

მოგახსენებთ, თუ რატომ გვინდოდა ბევრი შვილი, როდესაც უკვე გვყავდა საერთო ბიოლოგიური შვილები. მე და იურის გვაქვს ასეთი დევიზი – როდესაც ადამიანი არის მატერიალურად ძლიერი, უნდა ჰყავდეს ბევრი შვილი. მოგახსენებთ, რომ 2018 წლის დასაწყისში იური გაემგზავრა რუსეთის ფედერაციაში, ვინაიდან მოგვეარება ჩემთვის საორგანიზაციო და ბინის საკითხები, ხოლო ამის შემდეგ 2018 წლის 25 მარტს მე რვა ბავშვთან ერთად გრეისის და ემილის გარეშე გავემგზავრე რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, მოსკო-



ვის ოქმში ბიზნესის კეთების მიზნით. 2018 წლის მაისს დაებრუნდი უკრაინაში, ვინაიდან დაიბადა ემილი, მოგავარე დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხები და ისევ დაებრუნდი რუსეთის ფედერაციაში, ამის შემდეგ 2018 წლის აგვისტოში აშშ-ში, სწორედ იქ ვიმშობიარე გრეისი. მოგახსენებთ, რომ აშშ-ში ვცხოვრობდი ახლობლებთან, რომლებიც იქ ყოფნის დროს გავიცანი – ამბობს ჩვენებაში დაკავებული. რაც შეეხება მეტოე შევილს, ის უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, რომლის დაკრძალვის და ექსპერტიზის დამატარებელი საბუთები სუსლიაკს აქვს. რომორც ჩანს, ძალბატონ იულიას, შვილების ბარდა, არც ღამაგნევილი ტყუილების „გაჩინა“ უმწელოდა (რასაპირველია, სუროგატული ტყუილია!).

დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქში გვირილობა შემობრძანდება, ფეხბედნიერი ყოფილიყოს, ქუთაისო!



„ორმანოვა“ ქუთაისში. მა-19 საუკუნის მიწურული.

თეთრი გვირილები

ვახტანგ მეფემ ხოხობი როცა დაჭრა ისრითა, ამოზიდა თბილისი მის ცხელ წყლებთან მისვლითა, საქართველოს დედად და ყველას დასაფიცადა, ჩვენი ქვეყნის მკერდად და მშობლის გულის ფიცრადა!

გორგასალი ამ ისარს რიონზეც თუ გაისვრის, დავით მეფის სიბრძნით და თამარ მეფის ნებითა, სხვად გხედავ ქუთაისო: გხურავს ქუდად მაისი, შენი ორი მაისი, თეთრი გვირილებითა!

მიპატიუება


ფარ-ხმალო საქართველოსაგ, სხვათა გბაძვიდეს, ნუგათ! ვაჟა-ფშაველა

წმინდა სისხლის ქართულ ქალაქს, მის საოცარ შემოგარენს, დღემდე მტკიცე ჩვევადა აქვს, რომ სტუმარს თავს შემოგავლებს.

ძირძველ უქიმერიონელს, საფინიხიელს და ბალახუნელს, მაშინ აქვებს, — მილიონებს სუფრის ემხს თუ დაანახვებს.

წელს ორ მაისს ქუთაისი ხვდება, როგორც არასოდეს, ეწვიე, რომ „იმე“ მისი სამუდამოდ დაგახსომდეს!

ალექსანდრა შენგელია



ქუთაისის სამშობიაროვი ჩვილი ბავშვების დასალოცი სივრცე მოეწყო

ქუთაისის შპს „ხონელიძის კლინიკაში“ ახალშობილთა დასალოცი სივრცე გაიხსნა.

სამშობიაროს მიმდებარე ტერიტორიაზე ამ მიზნით ინფრასტრუქტურაც მოეწყო.

„დასალოცი სივრცეში“ ახალშობილის ახლობლებისთვის მოქცევის წესებიცაა გამოკრული.

მოწვევა აკრძალულია! ნუ იხმაურებთ! დიდხანს ნუ დააყოვნებთ! — ასე აფრთხილებს ადმინისტრაცია ახალშობილის დალოცვის მსურველებს.

კლინიკაში ამბობენ, რომ პაციენტის ნათესავები ხშირად პატარას დაბადებას სამედიცინო დანსებულების ეზოში აღნიშნავენ, რის გამოც მათ მიიღეს გადაწყვეტილება, მოეწყოთ ინფრასტრუქტურა და სპეციალური სივრცე შეექმნათ.

ეს არის კლინიკის გადაწყვეტილება, ეზოში რომ აღარ გაშალონ სუფრა. აქ დაიდგმება პატარა მაგიდა და იქნება მოწვევრიგებული, — ამბობს კლინიკის დირექტორის მოადგილე ნესტანია შვილი.



ბათუმში სასტუმრო „BEST WESTERN PREMIER“ გაიხსნა



ბათუმს კიდევ ერთი სუთვარსკვლავიანი სასტუმრო „BEST WESTERN PREMIER“ შეემატა. ახალი სასტუმრო აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და ქალაქის მერთან ერთად გახსნა, რის შემდეგაც თორნიკე რიჭვაძემ სასტუმრო კომპლექსი ინვესტორებთან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნული სასტუმრო გახლავთ ამერიკული საერთაშორისო ბრენდის „Best Western Hotels & Resorts“-ის ფრენჩაიზი. სასტუმროში 14 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. 104 ნომერზე გათვლილი სასტუმრო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. მე-13 სართულზე განთავსებულია რესტორანი ტერასით და ლაუნჯ-ბარი, ასევე 2-სართულიანი სპა ცენტრი.

საქმიანი ვიზიტებისა და შეხვედრების უზრუნველსაყოფად სასტუმრო აღჭურვილია 2 საკონფერენციო დარბაზით და ბიზნეს-ცენტრით. ამ ეტაპზე სასტუმროში დასაქმებულია 50 ადამიანი.

7-16 მაისს თბილისი სტუდენტურ ფესტივალს უმასპინძლებს

თბილისი 7-16 მაისს სტუდენტურ ფესტივალს უმასპინძლებს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ყველა საუნივერსიტეტო ქალაქს გააერთიანებს. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ 10-დღიან სტუდენტურ ზეიმში მონაწილეობას საქართველოს 36 უნივერსიტეტი მიიღებს. კახა კალაძემ პროექტის აქტიური მხარდაჭერისთვის პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მადლობა გადაუხადა.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქოვასას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანადგომა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა სახურადაღივოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქლოა, მუდამ არ ემთხვევოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუსილაგლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

მოგეარტავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



უხსოვრი ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.7029; ევრო - 3.0300; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.5132; 100 რუბლი - 4.1971; თურქული ლირა - 0.4536; აზერბაიჯანული მანათი - 1.5940; 1000 სომხური დრამი - 5.6252.

Table with exchange rates for various currencies: აქონლი 2 მაისისთვის, ადონსაპლათი საქართველო: ბარი - ლამი +9, ლემი +30; შთინი რაიონები - ლამი +4, ლემი +27; დანსაპლათი საქართველო: ბარი - ლამი +13, ლემი +28; შთინი რაიონები - ლამი +8, ლემი +27; თბილისი: ბარი - ლამი +12, ლემი +26.

დავკირაკათ, მოგწერაკათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ულ. უოსტ: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge